ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 2018 №294 (7839) ფასი: 60 თეთრი

გრიგოლ ვაშაძე: „ხელისუფლებამ ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია გაფლანგა“

გვ.3

11 დეკემბრიდან „50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი A4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გაყიდვა უნდა აიკრძალოს“

გვ.4

„ამერიკასა და საქართველოს შორის ხინჯი გაჩნდა. საერთო განწყობებზე ეს კარგად არ აისახება“

გვ.3

ფორმალურად ელჩის კანდიდატურის დაბლოკვა საერთაშორისო სკანდალია. ეს პარტნიორობა აღარ არის. როდესაც ფორმალურ დონეზე უარს გაუგზავნიან, ეს უკვე მეგობარ ქვეყნებს შორის არ ხდება.

გვ.2

დაბლოკა თუ არა „ოცნებამ“ აშშ-ის ელჩის პოზიციაზე ბრიჯიტ ბრინკი



გვ.4

„ია კერზაიას სიკვდილი ივანიშვილისა და გახარიას კისერზეა“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქართული ოცნება“ კლავს“

სამართალი გვ.7

1 დაღუპული და 4 დაშავებული — ავარია ზუგდიდში მსხვერპლით დასრულდა

წყნეთის „წისქვილთან“ მაღალჩინოსნები გიორგი ყანჩაველმა დაჭრა?

დააკავეს ე.ზ., რომელმაც ჭაბუკა გუშარაშვილს თავში დოქი ჩაარტყა

საფრანგეთში 2 ქართველი კანონიერი ქურდი და 8 პირი დააკავეს

ეკონომიკა გვ.6

დეველოპერული კომპანია „სამშენებლო ინვესტიციები“ — ქალაქის ყველა უბანში

ბუცხრიკიძის შეფასებით, ე.წ. პრობლემური სესხები ძირითადად მისო-ებში იყო დაგროვილი

ტენდერები და გამარტივებული შესყიდვები — კორუფციული გარიგებების მაღალი რისკი ხალხის ფულით

არის თუ არა სახელმწიფო შესყიდვების სისტემა კორუფციული გარიგებების ეპიცენტრში

ISSN 1987-9385

2 ახალი პრეზიდენტის დაცვის რაოდენობა შემცირდება

3 გიორგი სვანიძის რჩევა მთავრობას: „თუ ხელისუფლება ბიზნესმენებს უფრო მეტად მოუსმენს, უკეთესი იქნება“

2 საახალწლო კლიპი და საჩუქრები — თბილისის მერია 125 ათას 500 ლარს დახარჯავს

5 „არჩევნების შედეგს როგორ ვაღიარებთ, როცა ეს, რეალურად, არჩევნები არ ყოფილა“

დაბლოკა თუ არა „ოცნებამ“ აშშ-ის ელჩის პოზიციაზე ბრიჯიტ ბრინკი

თორნიკე შარაშენიძე: „სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა“

ნათია ხურცილავა

მას შემდეგ, რაც ამერიკის ელჩ იან კელის უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, ამერიკას ჯერ ელჩი არ გამოუგზავნია. რამდენიმე თვეა, რაც ამერიკა საქართველოში ელჩის მოვალეობის შემსრულებლით არის წარმოდგენილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკელი დიპლომატის ბრიჯიტ ბრინკის კანდიდატურა ქართულმა მხარემ დაბლოკა.

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სწორედ ამ საკითხზე საუბრობს.

– პატონო თორნიკე, „ფორინ პოლისის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაზე მინდა გკითხოთ, სადაც საუბარია, თითქოს საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ელჩის პოზიციაზე ბრიჯიტ ბრინკის კანდიდატურა დაბლოკა. რამდენად შეუძლია საქართველოს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტზე ამ დონის ზეწოლა განახორციელოს?

– ფორმალურად ნებისმიერ ქვეყანას და მათ შორის საქართველოს ამის უფლება აქვს. საქართველოს ამას ვერ აუკრძალავს ვერავინ, მაგრამ პოლიტიკურად ძალიან დამაზიანებელია. შენს ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირეს, სტრატეგიულ პარტნიორს, ფაქტიურად მფარველს, უარეს ეუბნები ელჩის დანიშვნაზე იმ მოტივით, რომ თითქოს ბრიჯიტ ბრინკი სააკაშვილის აპოლოგეტია.

– არადა სწორედ ამაში სდებენ ბრალს, რომ წინა ხელისუფლების, კონკრეტულად სააკაშვილის მხარდამჭერი იყო. ასე არ არის?

– არანაირად, ნამდვილად არ არის. სხვა თუ არაფერი, ეს ქალბატონი თავის განცხადებებში ძალიან ფრთხილი იყო ყოველთვის.

– საინტერესოა, ზოგადად მაღალი დონის დიპლომატები რამდენად გამოხატავენ ხოლმე მსგავს დამოკიდებულებებს, რამდენად გადაიხრებიან ხოლმე ამა თუ იმ მხარეს თუ მხოლოდ მათი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ?

– პასუხი ძალიან მარტივია: ამერიკა ისეთი ქვეყანაა და ამერიკის ელჩი ნებისმიერ სახელმწიფოში ისეთი ფიგურაა, რომ ასე მარტივად არ გადაიხრება საქართველოს რომელიმე მმართველის მხარეს. ყველაზე ცოტა, არასერიოზული იქნება მისი მხრიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ფაქტებს გავყვეთ: ფაქტები არის ის, რომ ძალიან დიდი ხნის მანძილზე, რაც წინა ელჩს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, ამერიკას საქართველოში ძალიან დიდი ხანი ელჩი არ ჰყავდა. ზუსტად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ამერიკამ მაღალი დონის დიპლომატი გამოაგზავნა ელჩის მოვალეობის შესასრულებლად. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ, როგორც ჩანს, ბრიჯიტ ბრიბკი მართლაც დაიწუნეს თავის დროზე. შემდეგ ხელახლა რომ არ აგორებულიყო პროცესი, რომელი ყველა შემთხვევაში უფრო გართულდებოდა, ამიტომაც გამოუშვეს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი.

მეორე ტურის შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა არჩევნების შედეგების ძალიან მძიმე შეფასება გამოაქვეყნა, უარყოფითი შეფასება. ეს შემთხვევითი არ იყო.

რეალურად ამერიკამ არჩევნებზე სერიოზული ფიგურა გამოაგზავნა, ფაქტიურად დამკვირვებლად, ვგულისხმობ ელჩის მოვალეობის შემსრულებელს – ელჩ როს უილსონს, რომელიც თავის დროზე ამერიკის ელჩი იყო თურქეთსა და აზერბაიჯანში. ის არის სერიოზული ფიგურა, რომელმაც არჩევნებთან დაკავშირებით ადეკვატური შეფასება გააკეთა. მთელი ეს ფაქტები მიანიშნებს იმას, რომ, როგორც ჩანს, მართლაც დაიბლოკა ბრიჯიტ ბრინკის კანდიდატურა. მე ეს ინფორმაცია მქონდა სერიოზული ადამიანისგან, სერიოზული წყაროსგან, რომელსაც თავადაც არ სჯეროდა ამის შესახებ, რომ ამაზე წავიდოდა საქართველოს მთავრობა. ახლა რეალურად ეს დაადასტურა „ფორინ პოლისმა“, რომელიც არის სერიოზული გამოცემა, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება.

– ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ამბობს, რომ „ფორინ პოლისი“ არ არის სახელმწიფო დეპარტამენტის ბეჭდვითი ორგანო და მას საიდან აქვს ეს ინფორმაციაო.

– სახელმწიფო დეპარტამენტს ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნია. მეტიც, საქართველოს საგარეო უწყებასაც კი არ გააჩნია თავისი ბეჭდვითი ორგანო, ეს არა სერიოზულია და ამიტომ ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

– მიუხედავად ყველაფრისა, მაინც რამდენად შეუძლია საქართველოს ამერიკას ელჩი დაუბლოკოს?

– ფორმალურად შეუძლია. მარტივია, მაგრამ აქ მთავარი კითხვა არის, რატომ? რაში უღირს? რა იდგა ამის უკან, ეს არის მთავარი. ახლა ჩემი მთავარი კითხვაა, ეს მოხდა თუ არა ივანიშვილის მხრიდან? ის დგას თუ არა ამის უკან?

ბიძინა ივანიშვილი ძალიან ფრთხილი ადამიანია. ამერიკასთან ურთიერთობას ასე მარტივად არ გაიფუჭებს, მით უფრო ელჩის გამო. ამიტომ მე მაინტერესებს, რა დონეზე მოხდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება. ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება ივანიშვილს არ უნდა ეკუთვნოდეს.

– როგორ ფიქრობთ, თუ ასეა, ვინ ჩაერია?

– საინტერესოც ეს არის, რეალურად რა მოხდა?! ვინმემ ქვედა ეშელონებში თავისი გადაწყვეტილებით დაბლოკა ბრიჯიტ ბრინკი თუ პირიქით მოხდა, ვიღაცამ შეგნებულად აურია?! ეს არის საკითხავი, ეს არის გასარკვევი. მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ ეს ივანიშვილის გადაწყვეტილებაა.

– რა შედეგი და გავლენა შეიძლება ამ ფაქტმა იქონიოს დადასტურების შემთხვევაში?

– უკვე დადასტურებულია, რადგან ამაზე წერს „ფორინ პოლისი“, ეს არ არის ორღობის ჟურნალი. ის მსგავს რაღაცებს შემთხვევით არ ბეჭდავს.

მე ეს უფრო გაფრთხილება მგონია. პირველი გაფრთხილება იყო სახელმწიფო დეპარტამენტის საპრეზიდენტო არჩევნების უარყოფითი შეფასება და მეორე, ეს ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ შეურაცხყოფაა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, ჩვენი მფარველი სახელმწიფოსი.

– რაც შეეხება გავლენას...

– როგორც ჩანს, იქონიებს ამ მთავრობაზე და არა ჩვენს ქვეყანაზე.

– შეიძლება ამერიკამ პოზიციები არ შეცვალოს და სწორედ ბრინკი დანიშნოს?

– მე ვფიქრობ, მაინც სხვა დიპლომატს დანიშნავენ, რადგან საჯარო გახდა ეს ამბავი და ხვეწნას არ დაიწყებენ. ბრინკსაც არ მოუნდება.

– „ქართული ოცნების“ წვერი დიმიტრი ცქიტიშვილი აცხადებს, რომ სტრატეგიულ პარტნიორზეა საუბარი და ვინც არ უნდა დანიშნოს, ყველას მიიღებს საქართველო, საუბარი არ არის რუსეთ-საქართველოზე, სადაც შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს.

– ასეც უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ინფორმაცია არ აქვს და არ იცის, რეალურად რა მოხდა. მე ვიცი, რადგან ეს გავიგე საგარეო პოლიტიკასთან ძალიან ახლოს მყოფი ადამიანისგან.

– ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან როგორ ხდება დიპლომატის შერჩევა, მაგალითად, ვინც კარგად იცნობს რეგიონს და ა.შ. რა ფაქტორი მუშაობს ამ დროს?

– ჯონ ტეფტი ძალიან მაღალი დონის დიპლომატი იყო. ის იყო მანამდე ელჩი ლიტვაში, შემდეგ რუსეთსა და უკრაინაში. ბუნებრივია, ამერიკა რუსეთში შემთხვევით ელჩს არ გააგზავნიდა.

– თქვენ მაინც ამერიკიდან მაღალი რანგის დიპლომატს ელოდებით მიუხედავად წინაპირობებისა?

– თუ 2020 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება უნდა მოხდეს, მაშინ ამერიკა ძალიან მაღალი დონის დიპლომატს გამოუშვებს საქართველოში.

– არსებული ინფორმაციით, არჩეული პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, ინაუგურაციაზე დასასწრებად სახელმწიფო მეთაურის დონეზე ჯერ არ არის დასტური. თუ მართლაც ასე მოხდა, ეს რა მინიშნება იქნება?

– ვნახოთ, დაველოდოთ დელეგაციების ჩამოსვლას. თუ არც ერთი სახელმწიფოს მეთაური არ ჩამოვა, ეს ძალიან ცუდი იქნება.

ახალი პრეზიდენტის დაცვის რაოდენობა შემცირდება

ახალი პრეზიდენტის დაცვა, სავარაუდოდ, რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეიცვლება.

ამის შესახებ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელმა, ანზორ ჩუბინიძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, პრეზიდენტის დაცვის რაოდენობა შემცირდება.

– ეს არის, რაც შემიძლია გითხრათ. დაცვა მოიცავს სხვადასხვა კატეგორიას. არსებობს სხვადასხვა დონის დაცვა. როცა საჭიროება აღარ არის, ჩვენ ვუკლებთ ხარისხს. ეს გამოიხატება რაოდენობით, მატერიალურ-ტექნიკური ჩართულობითა და ა.შ. – განაცხადა ჩუბინიძემ.

სახელმწიფო მეთაურს დაცვა სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეუნარჩუნდება

პრეზიდენტის ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ აპროტესტებს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებების პროექტს, რომლის ერთ-ერთი სიახლე ისაა, რომ სახელმწიფო მეთაურს სახელმწიფო დაცვა სიცოცხლის ბოლომდე აღარ შეუნარჩუნდება.

კანონპროექტი პირველი მოსმენით იურიდიულ საკითხთა კომიტეტს სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსმა ანზორ ჩუბინიძემ წარუდგინა.

როგორც კომიტეტის სხდომაზე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა, პრეზიდენტი ცვლილებებს არ ეთანხმება და ეს არის „იმ სამწუხარო ტენდენციის გაგრძელება, რომელსაც წლებია ინსტიტუტის შელახვისა და დაკნინების მიმართულებით ვუყურებთ“.

– ჩვენ ქვეყანაში წლების განმავლობაში ვხედავთ თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ და კარგად გააზრებულ საკანონმდებლო პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებების შეკვეცისა და მთლიანად წაღებისაკენ არის მიმართული. ვხედავთ ნაბიჯების გადადგმას, რომ ამ მნიშვნელოვანი პოზიციის უფუნქციობას გაესვას ხაზი. ეს საკანონმდებლო ინიციატივა ზუსტად ჯდება ამ კონტექსტში. ერთ-ერთი ბოლო საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განხორციელდა, არის ის, რომ სახელმწიფოს მეთაურს სახელმწიფო ჯილდოს მინიჭების უფლებამოსილება აღარ დაუტოვეს, თუ ამაში პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე არ ჩაერევა. ამ თანმიმდევრულობითა და პრინციპულობით საკანონმდებლო ორგანოს ქვეყნისთვის საჭირო საკითხებზე რომ ეზრუნა, ალბათ, ცოტა უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე.

მისივე შეფასებით, არის სერიოზული საკითხები, რაც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ მომზადებულ კანონპროექტში გააზრებული არ არის.

პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით, პრეზიდენტს, ასევე პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ სახელმწიფო დაცვა მხოლოდ ერთი წლით შეუნარჩუნდებათ. ერთი წლის გასვლის შემდეგ კი აღნიშნულ პირებს სახელმწიფო დაცვა, მთავრობის გადაწყვეტილებით, გაუგრძელდებათ, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

საახალწლო კლიპი და საჩუქრები – თბილისის მერია 125 ათას 500 ლარს დახარჯავს

საახალწლო მისალოც კლიპსა და საჩუქრებს მერიის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტო“ გამარტივებული წესით შეიძენს, რისთვისაც 125 ათას 500 ლარი დაიხარჯება.

კლიპი, რომლის გადაღებაზეც თანხის უდიდესი ნაწილი – 100 ათასი ლარი დაიხარჯება, თბილისელების საახალწლო განწყობის შექმნისთვისაა განკუთვნილი.

რაც შეეხება საჩუქრებს, მათ ხის მასალისგან შშმ პირები დაამზადებენ, რაზეც 25 ათას 500 ლარია დაიხარჯება.

სიმბოლურ საჩუქრებს, რომელთა ერთეულის ფასიც 17 ლარი იქნება, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს, მედიის, ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მიიღებენ.

გამარტივებული შესყიდვის უფლების მისაღებად, მერიის „საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტომ“ შესყიდვების სააგენტოს უკვე მიმართა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ამერიკასა და საქართველოს შორის ხინჯი გაჩნდა. საერთო განწყობებზე ეს კარგად არ აისახება“

ფორმალურად ელჩის კანდიდატურის დაბლოკვა საერთაშორისო სკანდალია. ეს პარტნიორობა აღარ არის. როდესაც ფორმალურ დონეზე უარს გაუგზავნიან, ეს უკვე მეგობარ ქვეყნებს შორის არ ხდება.

იაგო ნაცვლიშვილი

„ფორინ პოლისის“ ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ აშშ-ის ელჩობის კანდიდატი ბრიჯიტ ბრინკსი დაბლოკა. გამოცემამ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია წყაროებზე დაყრდნობით დაწერა. როგორც ჟურნალისტები წერენ, საქართველოს მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელი ელჩობის კანდიდატს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი კეთილგანწყობილად მიიჩნევს. ელჩობის კანდიდატის დაბლოკვის შესახებ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ საქართველოს ხელისუფლებაში.

აქვს თუ არა ელჩობის კანდიდატის დაბლოკვის შესაძლებლობა ან რაიმე ბერკეტი საქართველოს მთავრობას, ამის შესახებ „ახალი თაობა“ სპეციალისტებს ესაუბრა:

საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი ნოდარ ხარშილაძე ამბობს, რომ დიპლომატიური პროცედურაა და შეგიძლია აცნობო პარტნიორს, რომ მის წარმომადგენელს, პოტენციურ პარტნიორს არ მიიღებ. ამას პროცედურულად აგერმანის მიღება ჰქვია, რომელსაც მას არ მისცემ, ამიტომ წინასწარ ეუბნები, რომ ეს აგერმანი არ გამოგიგზავნოს.

– „ფორინ პოლისი“ წერს, რომ საქართველოს მთავრობამ ბრიჯიტ ბრონკსის კანდიდატურა დაბლოკა. აქვს რაიმე ბერკეტი საქართველოს ხელისუფლებას, რომ ეს ქმედება განეხორციელებინა?

– საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად აქვს მისი დაბლოკვის ბერკეტი.

– ზოგადად როგორ ხდება ხოლმე, გადის ქვეყანა პარტნიორ ქვეყანასთან კონსულტაციას, როცა ელჩის დანიშვნას აპირებს?

– დიპლომატიური პროცედურაა და შეგიძლია, აცნობო შენ პარტნიორს, რომ მის წარმომადგენელს, პოტენციურ პარტნიორს არ მიიღებ. ამას პროცედურულად აგერმანის მიღება ჰქვია, რომელსაც მას არ მისცემ, ამიტომ წინასწარ უთხარი, რომ ეს აგერმანი არ გამოგიგზავნოს, ანუ უარყოფით პასუხს კი არ მისცემ, ამ აგერმანს საერთოდ არ გამოგიგზავნის. არსებობს ასეთი პრაქტიკა.

– ჩვენ თუ გვქონია ასეთი პრაქტიკა?

– ჩვენ გვქონდა ასეთი პრაქტიკა, როდესაც საქართველოს ასეთი რამე აზერბაიჯანმა გაუკეთა. აგერმანი არ მისცა აზერბაიჯანმა ჩვენს ელჩს და მერე სხვა ადამიანის დანიშვნა მოგვიხდა. ეს ძალიან მკაცრი და არაპარტნიორული ტონია.

– ანუ ასეთი ბერკეტი არსებობს და ზოგადად გამოქვეყნებული ინფორმაცია რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ?

– რა თქმა უნდა, არსებობს. რაც შეეხება ინფორმაციას, ამ ყველაფერში სიმართლის დიდი ნაწილი არის. რასაც ამბობენ, ბოლომდე ის არ არის, მაგრამ ამ ყველაფერში სიმართლის ნაწილი არის.

– თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამერიკა საქართველოს მთავარი პარტნიორია, გგონიათ, ამხელა ნაბიჯს გადადგამდა საქართველოს ხელისუფლება?

– ვერ გეტყვით, ეს სხვა ადამიანის კომპეტენციაა. სხვის ნაცვლად მე ვერ მოგახსენებთ, იმიტომ, რომ არ ვიცი, რაზე დაფუძნებით იღებდნენ ამ გადაწყვეტილებას. მაგრამ ამ შემთხვევაში ფაქტია საინტერესო, რასაც „ფორინ პოლისი“ აქვეყნებდა, რაც ადრეც იყო ნათქვამი, თორემ რატომ გააკეთებდა, ამას ვერ გეტყვით.

– პროცედურა ამასაც ხომ არ ითვალისწინებს, რომ ამერიკის მხარეს შეეძლო, ქართული მხარის პოზიცია არ გაეზიარებინა?

– მაინც რომ დანიშნოს კონკრეტული პირი ელჩად ამერიკის მხარემ? არა, ეს გამორიცხულია.

საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში ბათუ ქუთელია კი გვეუბნება, რომ მეგობრულ ქვეყნებში, როდესაც ამა თუ იმ კანდიდატის ელჩად დანიშვნა გადაწყდება, არაფორმალურად ხდება ამ ადამიანის გვარისა და სახელის შესახებ კომუნიკაცია მიმღებ ქვეყანასთან. ქუთელია იმასაც ამბობს, რომ ასეთი არასწორი ნაბიჯები, ჯამში, ცუდად იმოქმედებს ჩვენს ქვეყანაზე.

– „ფორინ პოლისი“ წერს, რომ საქართველოს მთავრობამ ბრიჯიტ ბრონკსის კანდიდატურა დაბლოკა. აქვს რაიმე ბერკეტი საქართველოს ხელისუფლებას, რომ ეს ქმედება განეხორციელებინა?

– თეორიულად საერთაშორისო ურთიერთობებში ელჩის დანიშვნას სჭირდება მეორე მხარის თანხმობა, რასაც არეგულირებს ვენის საერთაშორისო შეთანხმება, რასაც აგრემანი ჰქვია. ეს არის ფორმალური პროცედურა. მეგობრულ ქვეყნებში, როდესაც ამა თუ იმ კანდიდატის ელჩად დანიშვნა გადაწყდება, არაფორმალურად ხდება ამ ადამიანის გვარისა და სახელის შესახებ კომუნიკაცია მიმღებ ქვეყანასთან, იმიტომ რომ რაიმე ფაქტორი ხომ არ არის, რომ ის შესაძლოა არ არის მისაღები ამ ქვეყნისთვის.

– ანუ წინასწარ გადიან კონსულტაციას?

– ფორმალურ კონსულტაციას არა, უბრალოდ, განიხილავენ ელჩობის კანდიდატს, შემდეგ უკვე ფორმალური აგერმანი გაიგზავნება, სადაც ფორმალურ პასუხს აძლევს მხარე. ამ შემთხვევაში ქართული მხარისთვისაც ცნობილი იყო, რომ ბრინკსის კანდიდატურა განიხილებოდა. როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ გადაწყვიტა, რომ ეს პასუხი გაეგზავნა უკან, ოღონდ ეს არაფორმალური გზით ხდება. ფორმალურად ელჩის კანდიდატურის დაბლოკვა უკვე საერთაშორისო სკანდალია. ეს უკვე პარტნიორობა აღარ არის. როდესაც ფორმალურ დონეზე უარს გაუგზავნიან, ეს უკვე მეგობარ ქვეყნებს შორის არ ხდება. ეს უკვე არ არის მიღებული წესი. დაბლოკვა არ ხდება ასეთ დონეზე.

ფორმალურ დონეზე კანდიდატის ვინაობა ცნობილია და, როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ გადაწყვიტა, რომ უარი ეთქვა ამერიკული მხარისთვის, რომ ეს კანდიდატურა მიუღებელია მათთვის. არგუმენტები სრულიად მიუღებელია, მაგრამ, რადგან კომუნიკაციის ეს ფორმა აირჩია, რაც სტატიაშიც არის აღწერილი, ეს ძალიან ცუდი და არამეგობრული ნაბიჯია.

– ანუ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები სარწმუნოა?

– ჩემი ინფორმაციით, სტატიაში გამოთქმული ცნობები მართალია.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართული მხარის ასეთი მიდგომა პარტნიორ ქვეყანასთან შემდგომ ურთიერთობებზე იმოქმედებს?

– ფაქტია, რომ ხინჯი გააჩინა ურთიერთობებში. რამდენად იმოქმედებს, ეს სხვა საკითხია. ამერიკასთან ურთიერთობა არ არის მოწყვლადი ასეთი ტიპის საკითხების მიმართ. ეს, ბუნებრივია, საერთო განწყობაზე კარგად არ აისახება. ამერიკას თავისი ინტერესები აქვს იმაში, რომ საქართველოში იყოს შემდგარი დემოკრატია. არა მარტო ის, რომ საქართველოს ინტერესები იყოს დაცული, არამედ თავისი ინტერესებიც აქვს რეგიონში. ასეთი არასწორი ნაბიჯები, ჯამში, ცუდად იმოქმედებს ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ეკონომიკაზე, უსაფრთხოებასა და ზოგადად მთელ ამ პროცესზე.

– რაც შეეხება პრაქტიკას, თუ გახსენდებათ, რომ საქართველოს ასეთი პრაქტიკა ჰქონოდა უახლოეს წარსულში?

– ასეთი პრაქტიკა არ ყოფილა და ვერ იქნებოდა, რადგან დამოუკიდებლობის დღიდან ჩვენთვის ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა მუდმივი აღმავლობით ვითარდებოდა. არანაირი მიზეზი არ ყოფილა ამის.

– ამ შემთხვევაში ზოგადად იმაზე გეკითხებით, როცა ქართული მხარე უარს ამბობს ელჩის დანიშვნაზე ან ქართულ მხარეს როცა ეუბნებიან უარს?

– ასეთი რამე არ მახსენდება, მით უმეტეს არ მახსენდება, როდესაც ასეთი თითიდან გამოწოვილი მიზეზია. ეს საერთოდ არ შეესაბამება საგარეო ურთიერთობების პრაქტიკას. შესაძლოა, იყოს რაღაც მაგალითები, მაგრამ მე არ მახსენდება სხვა ქვეყნებთან ასეთი პრაქტიკა, ასე თითიდან გამოწოვილი პრაქტიკა საერთოდ არ მახსენდება.

საპატრიარქო: „გულსატკენია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ეროვნული ინტერესები კვლავ არ გაითვალისწინა და ხალხში დაძაბულობა შექმნა“

საქართველოს საპატრიარქო საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას ეხმაურება, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისების აკრძალვის გაუქმებას ეხება.

როგორც საპატრიარქოს გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 10 დეკემბერს მიწის გასხვისების საწინააღმდეგოდ საქართველოს საპატრიარქოში კონფერენცია ჩატარდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზა) და მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრების წინამძღვრები.

– ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო მიწის გასხვისების პრობლემაზე. აღინიშნა, რომ საერთაშორისო პრაქტიკითაც (გაეროს სურსათის უსაფრთხოების მსოფლიო კომიტეტის სესია, 2012 წ.) არ შეიძლება მიწა განისაზღვროს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის საგნად, რასაც დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში აქვს ადგილი. იგი, პირველ რიგში, ისტორიულ-კულტურულ-რელიგიურ-ეკოლოგიური დატვირთვის მქონეა და განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს თუნდაც იმიტომ, რომ ისეთი სიმდიდრეა, რომელსაც ვერ აწარმოებ და ვერ შექმნი.დიდად გულსატკენია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავ არ გაითვალისწინა ეროვნული ინტერესები და შექმნა ხალხში დაძაბულობა. კონფერენციამ შეიმუშავა მიმართვა ხელისუფლებისადმი, – ნათქვამია ინფორმაციაში. რა წერია ხელისუფლებისადმი მიმართვაში, უცნობია.

გრიგოლ ვაშაძე: „ხელისუფლებამ ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია გაფლანგა“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლებას ქარელის რაიონის სოფელ ატოცისთვის არ სცალია. არადა, იქ სიტუაცია უკიდურესად არის დაძაბული.

გუშინ, 11 დეკემბერს, ატოცში გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი გრიგოლ ვაშაძე ჩავიდა. ის იქ ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებს შეხვდა და ადგილზე მყოფ სამართალდამცავებს გაესაუბრა:

ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრები ატოცში მას შემდეგ ჩავიდნენ, რაც ოკუპანტებმა ბოძების დამონტაჟება დაიწყეს. ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრების ჩასვლის შემდეგ რუსებმა დროებით ტაიმაუტი აიღეს.

ვაშაძის თქმით, პირველად მოხდა, როცა ოკუპანტები სამოქალაქო მოძრაობის წევრებმა გააჩერეს.

– პირველი შემთხვევაა, რომ სამოქალაქო მოძრაობამ გააჩერა ბორდერიზაცია. ისე გააჩერა, რომ თვე-ნახევარია უკვე ადგილიდან ვერ იძვრებიან. უმორჩილესი თხოვნა მაქვს ყველასთან, თვეში ერთი დღე მაინც გამოყავით, რომ აქ ამოხვიდეთ და ქაცარავას მოძრაობას შეუერთდეთ. ისე ნუ მოვიქცევით, რომ დეოკუპაცია და ჩვენი ტერიტორიების გათავისუფლება მხოლოდ ამ მამაცი ადამიანების საქმეა, – აღნიშნა ვაშაძემ.

ვაშაძე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებას გამოეხმაურა. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი სომხეთში ჩატარებულ საპარლამენტო და საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს აფასებს.

სომხური არჩევნების შეფასებაში წერია, რომ შეერთებული შტატები ეთანხმება ეუთოს წინასწარ დასკვნას, რომ სომხეთში საარჩევნო პროცესი სარგებლობდა ხალხის ფართო ნდობითა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვით.

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კი შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებდა, რომ ვაშინგტონი შეშფოთებულია მრავალრიცხოვანი დარღვევებით და ყურადღებით დააკვირდება, როგორ შეასრულებს ქართული მხარე ახალ კონსტიტუციას.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, თუ შევადარებთ საქართველოსა და სომხეთის შესახებ აშშ-ის სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ შეფასებას, ჩანს, რომ საქართველოს მიერ მოპოვებული რეპუტაცია უკვე გაფლანგულია.

– მას შემდეგ, რაც გავეცანით სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებას სომხეთში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე და ჩვენ შევადარებთ ამ შეფასებას იმ შეფასებას, რაც ეუთომ, ოდირმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკეთა ჩვენს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ჩვენ ვხედავთ, რომ უნიჭოდ არის გაფლანგული ის მტკივნეულად, კბილებით მოპოვებული რეპუტაცია, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა მოუტანეს ჩვენს სახელმწიფოს.

როდესაც ქართველი დიპლომატები ჩადიან ბრიუსელში, ელაპარაკებიან ნატოსა და ევროპის კავშირის წარმომადგენლებს, ელაპარაკებიან დედაქალაქებში და უყვებიან იმაზე, რომ საქართველოში დემოკრატიის ხარისხი არის უფრო წინ, ვიდრე სხვაგან, გამოდის, რომ, დღევანდელი შედეგებიდან გამომდინარე, უტიფრად ვატყუებთ ჩვენს პარტნიორებს. არ შეგვრჩება, სამწუხაროდ, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

„ია კერზაიას სიკვდილი ივანიშვილისა და გახარიას კისერზეა“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქართული ოცნება“ კლავს“

შორენა მარსაგიშვილი

ზუგდიდის მე-6 სკოლის ყოფილი დირექტორის გარდაცვალებამ საზოგადოება აღაშფოთა. მისი ისტორია ყველამ კარგად იცის და მამალი ქოცებიც კი ვერ ბედავენ იმის უარყოფას, რომ ეს ადამიანი არჩევნებმა შეიწირა.

გარდაცვლილის შვილი ბაჩანა შენგელია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას მასზე განხორციელებულ პოლიტიკურ ზეწოლას უკავშირებდა, რომელსაც, მისი მტკიცებით, კერზაია ხელისუფლებისგან განიცდიდა.

26 ნოემბერს ბაჩანა შენგელიამ ფეისბუკზე პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც მან სკოლაში ინსპექტორების შესვლა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეაფასა. მისი თქმით, განათლების სამინისტროს ინსპექტირების სამსახურის ორი თანამშრომელი ერთი კვირის განმავლობაში შემოწმების მაგივრად „ჩვეულებრივ რეპრესიას“ ახორციელებდა.

შენგელიას განცხადებით, ამ დროის განმავლობაში პარალიზებული იყო სასწავლო პროცესი, მიმდინარეობდა პედაგოგებისა და სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების დაკითხვა.

ია კერზაია ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში 9 დეკემბერს გარდაიცვალა. ის სამედიცინო დაწესებულებაში 2 დეკემბერს ანევრიზმის დიაგნოზით მოათავსეს. ია კერზაიას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, მას შემდეგ კი რეანიმაციულ განყოფილებაში იყო მოთავსებული, თუმცა პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ია კერზაია ხელისუფლებამ მოკლა. ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ ისინი შს მინისტრ გიორგი გახარიას მიიჩნევენ.

გუშინ, 11 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საკრებულოს დეპუტატმა ლევან ხაბეიშვილმა მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრ დიმიტრი ბიძინაშვილთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად აქცია გამართა.

– გახარია, შენ ხარ მკვლელი, – ასეთი ტრანსპარანტი მიიტანეს აქციის მონაწილეებმა შს სამინისტროსთან.

რატომ ადანაშაულებენ გახარიას, რატომ არ ხდება გახმაურებული მკვლელობების გამოძიება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

დიმიტრი ბიძინაშვილი:

– იმაზე აღარავინ დავობს, რომ ია კერზაია არის „ქართული ოცნების“ მსხვერპლი. იმისათვის, რომ არჩევნები მოეგოთ, ყველაფერზე წავიდნენ, ყველაფერი იკადრეს და ადამიანის სიცოცხლეც კი გაწირეს. ია კერზაიას სიკვდილზე გიორგი გახარიამ უნდა აგოს პასუხი. პასუხისმგებლობას ვერც ბიძინა ივანიშვილი გაექცევა.

პირველ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, არჩევნები მოეგოთ. სამეგრელოში ივანიშვილმა გიორგი გახარია გააგზავნა, რომელმაც, თავის მხრივ, აამოქმედა რეპრესიული მანქანა. ამ რეპრესიულმა მანქანამ იმსხვერპლა ია კერზაია.

კეთილი ინებოს გახარიამ და დატოვოს თანამდებობა. თანამდებობა უნდა დატოვოს განათლების მინისტრმაც.

მაინტერესებს, ხმას რატომ არ იღებენ ამაზე „ოცნების“ უფლებადამცველები, მათ შორის, ეკა ბესელია. ასეთი რამე სააკაშვილის დროს რომ მომხდარიყო, ბესლია შს სამინისტროს წინ პროტესტის ნიშნად კაბას შემოიხევდა. ახლა კი ვითომც არაფერი. ადამიანი გარდაიცვალა, ესენი კი ინაუგურაციისთვის ემზადებიან.

– „ოცნების“ რამდენიმე დეპუტატმა თქვა, რომ ია კერზაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით არსებულ ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

– ეს განცხადება ზრდილობის გულისთვის გააკეთეს. ამ მკვლელობის გამო არავის პასუხისმგებლობის საკითხს არ დააყენებენ. არც საქმის გამოძიება მოხდება. როდის იყო, „ოცნება“ იძიებდა, „ქართული ოცნება“ მხოლოდ კლავს და მერე სხვას ეძახიან მკვლელებსა და მოძალადეებს.

გავიხსენოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების წინა ღამეს მათ უკადრებელი იკადრეს. 9 თვის ბარბარე რაფალიანცის სიკვდილი ნაციონალურ მოძრაობას დააბრალეს.

უკვე მეშვიდე წელია, რაც ხელისუფლებაში არიან და ეს საქმე არ გამოუძიებიათ. არადა, სწორედ 9 თვის ბავშვის მკვლელობის ხარჯზე მოვიდნენ ხელისუფლებაში. ამ საქმეს ისინი არასოდეს გამოიძიებენ.

ისინი ბევრს საუბრობენ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, ათას ლეგენდას იგონებენ, მაგრამ საქმეს არ იძიებენ.

ბევრი ილაპარაკეს ზურაბ ჟვანიას საქმეზე, ათასი რამე მოიგონეს მის სიკვდილთან დაკავშირებით. ამ დღეებში უზენაესმა სასამართლომაც დაადგინა, რომ ის ბუნებრივი აირის გაჟონვით მოიწამლა და სწორედ ეს გახდა გარდაცვალების მიზეზი.

– უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ჩუმად გაატარა.

– აბა, რას იზამდნენ. იმდენი ტყუილი იკადრეს ამ საქმეზე, რომ შერცხვათ იმაზე საუბარი, რაც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა.

ამ ხელისუფლებას არ აინტერესებს ადამიანების ბედი. რამდენი თვეა, შვილმოკლული მამები ქუჩაში დგანან და სამართალს ითხოვენ, ხელისუფლება კი ფაქტების გაყალბებით არის დაკავებული.

– ზემოთ თქვენ თქვით, ასეთი რამე სააკაშვილის დროს რომ მომხდარიყო, ბესელია შს-ს წინ კაბას შემოიხევდაო. საზოგადოების ერთი ნაწილიც წივილ-კივილს ატეხდა, მაგრამ ახლა რატომღაც გაგებით ეკიდება ერი ია კერზაიას გარდაცვალებას.

– მე ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება გაგებით ეკიდება ამ ფაქტს. ხალხს რომ ეს მკვლელობები აღარ უნდა, ამაზე არჩევნების შედეგებიც მეტყველებს. ხალხმა გაიგო, რომ „ოცნება“ კლავს, ამიტომაც მიიღო ოპოზიციის კანდიდატმა 900.000 ხმა.

ეს 900.000 ადამიანი არსად წასულა. ისინი აუცილებლად გამოვლენ და იტყვიან თავიანთ სათქმელს. ეს მკვლელობები უნდა დასრულდეს.

– საქართველოში ადამიანები შიმშილითაც იღუპებიან. „ოცნების“ მამალი მხარდამჭერებიც კი ვერ უარყოფენ, რომ ხალხი უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს. ეს ყოფა კიდევ უფრო მძიმე გახდება, რადგანაც პური 5-10 თეთრით გაძვირდა. ამაზე რას ფიქრობთ?

– ეს გაძვირება ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის მთავარი საკვები აქამდე ძირითადად ჩაი და პური იყო. ახლა მათ მხოლოდ პურის ჭამა მოუწევთ. პური გაძვირდა. ჩაისა და შაქრის ყიდვას ხალხი ვეღარ შეძლებს.

პურის გაძვირება პირდაპირ კავშირშია არჩევნებთან. მწარმოებლებმა თქვეს, რომ ისინი გაძვირებას არჩევნებამდე გეგმავდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ კატეგორიულად მოსთხოვა, გაძვირება არჩევნებამდე არ მომხდარიყო.

დასრულდა არჩევნები და პურიც გაძვირდა. გაღატაკებული მოსახლეობა კიდევ უფრო გაღატაკდება.

არჩევნები რომ გაყალბებულია, ამაზე მოსახლეობის სოციალური მდგომარეობითაც შეიძლება ვიმსჯელოთ. წარმოუდგენელია, ხალხმა მხარი დაუჭიროს იმ ძალის კანდიდატს, რომელმაც ისინი გააღატაკა.

„ოცნებამ“ ხალხი შეგნებულად გააღატაკა. ადამიანები იმ დონემდე მიიყვანეს, რომ ისინი იძულებული არიან, საარჩევნო ხმები 5 კილო ხახვსა და 5 კილო კარტოფილზე გაცვალონ. ივანიშვილი ამაზეც აგებს პასუხს.

ია კერზაიას ამბავმა ყველა დაარწმუნა, რომ „ოცნება“ არჩევნების მოსაგებად ყველაფერს იკადრებს. ამ ხელისუფლების არჩევნებით შეცვლა გამორიცხულია.

– რატომ გგონიათ, რომ არჩევნებით „ოცნების“ შეცვლა გარდაუვალია?

– ივანიშვილი ყველაფერზე წავა. ურჩები ია კერზაიას ბედს გაიზიარებენ. ხალხი ისეა გაღატაკებული, რომ 5 კილო ხახვში გაცვლის თავის ხმას. ოპოზიციამ მილიონი მომხრე რომ მოაგროვოს, ივანიშვილი 1.200.000-ს იყიდის.

– გამოსავალს რევოლუციაში ხედავთ?

– არავითარი რევოლუცია. ხალხმა პროტესტი კანონის ნორმების დაცვით უნდა გამოხატოს. ამ პროტესტმა ხელისუფლება უნდა შეაშინოს, ისე უნდა შეაშინოს, რომ მათ არჩევნების გაყალბება ვეღარ გაბედონ. მაშინ ვნახავთ, რამდენი უჭერს მხარს სინამდვილეში ოლიგარქს.

გიორგი სვანიძის რჩევა მთავრობას: „თუ ხელისუფლება ბიზნესმენებს უფრო მეტად მოუსმენს, უკეთესი იქნება“

„კომერსანტი“ აგრძელებს პროექტს – ბიზნესმენების რჩევები მთავრობას. ამჯერად, რუბრიკის სტუმარია ბიზნესმენი, კომპანია „ჯეოლავის“ დამფუძნებელი გიორგი სვანიძე. მისი განცხადებით, ბიზნესმა და ხელისუფლებამ ერთმანეთთან უფრო მეტად უნდა ითანამშრომლოს. საუბარია ბიზნესის ხელის შეწყობაზე, სწორ რეგულაციებზე.

მისი განმარტებით, თუ ხელისუფლება ბიზნესმენებს უფრო მეტად მოუსმენს, უკეთესი იქნება.

– ბიზნესმენი უფრო კარგად ხედავს, შიგნით რა პრობლემაა და, შესაბამისად, მისი გადაჭრის გზებიც უფრო მეტად იცის, ვიდრე სხვამ.

როდესაც სადმე ვმოგზაურობთ ბიზნესმენები და მთავრობის წარმომადგენლები, ამას კარგი შედეგი აქვს ხოლმე. ასეთ დროს, ბიზნესმენს მთავრობის წარმომადგენლებთან უშუალო ურთიერთობა აქვს, რასაც სათანადო გადაწყვეტილებამდე მივყავართ. ვფიქრობ, უფრო მეტად უნდა გახშირდეს „ბიზნესასოციაციის“ ფორმატში არსებული შეხვედრები, – აცხადებს სვანიძე.

მისი განმარტებით, ბიზნესს ბოლო პერიოდში ხელისუფლებისგან ძალიან დიდი ხელშეწყობა აქვს. ანალოგიური ხდება ფერმერების შემთხვევაშიც.

სვანიძე ბიუროკრატიაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ეს პრობლემა წლების გასვლასთან ერთად თანდათან გვარდება. გარდა ამისა, ბევრად გაადვილებულია ბიზნესის მართვა და კეთება, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგებიც ადასტურებს.

– ამიტომაცაა, რომ ინვესტორები უფრო და უფრო გამოხატავენ საქართველოთი დაინტერესების სურვილს, – აღნიშნავს სვანიძე.

ადა მარშანია: „სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გაყიდვა უნდა აიკრძალოს“

გულიკო ბალაძე

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაზე მორატორიუმის მოხსნის შესახებ საზოგადოების პროტესტი გამოიწვია.

საზოგადოების ნაწილი იუსტიციის სახლთან 10 დეკემბერს დილიდანვე შეიკრიბა და მის თანამშრომლებს გაფიცვისკენ მოუწოდა. იუსტიციის სახლთან პოლიციაც იყო მობილიზებული.

– სანამ ორგანული კანონი არ არის მიღებული, არავის აქვს უფლება, დავუშვათ ასე უპასუხისმგებლოდ ქართული მიწების ყიდვა-გაყიდვა. მოვითხოვთ მორატორიუმის აღდგენას, სანამ ამ საკითხზე არ იქნება მიღებული ორგანული კანონი, – მოუწოდა პარლამენტის წევრმა ადა მარშანიამ.

– ქალბატონო ადა, რატომ მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარი გადაწყვეტილება?

– ეს აბსოლუტურად ბნელი მიზნების განხორციელებას ემსახურება, რომელსაც არ დაემორჩილა სამი მოსამართლე (ქალბატონი გოცირიძე, ქალბატონი კობახიძე და ბატონი ტურავა). მადლობა მათ.

– თუმცა, კაცმა არ იცის, თუ არ ეყოფოდათ კვორუმი ამ გადაწყვეტილების მისაღებად, რა პოზიციას დაიკავებდნენ.

– მე მაინც მინდა ვიფიქრო უკეთესზე, ვიდრე უარესზე. ეს არის ნამდვილი ღალატი. 17 დეკემბრიდან კონსტიტუციის ახალი რედაქცია ამუშავდება, მაგრამ ისიც არ არის ჩვენთვის მისაღები.

– რატომ?

– კონსტიტუციის ახალ რედაქციაში წერია, რომ მიწების გაყიდვა შეზღუდული იქნება.

– ანუ ახალი კონსტიტუციითაც არ არის გარანტია?

– კონსტიტუციაში ჩანაწერი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ისე ვიცხოვრებთ, როგორც კონსტიტუციაში წერია. კონსტიტუცია ქვეყნის მთავარი კანონია, ეს არის დეკლარირებული ნორმატიული აქტი, მაგრამ მას ქვემდებარე აქტები სჭირდება, ანუ ორგანული კანონი.

– ანუ კონსტიტუციაში სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა სრულად არ იკრძალება.

– კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ჩანაწერი გაკეთდა, გაჩნდა „გაყიდვის შეზღუდვაც“, რაც მისასალმებელია, მაგრამ უნდა იყოს გარკვეული, რას გულისხმობენ ამ შეზღუდვაში, როცა ამდენი ინვესტიცია შემოდის ქვეყანაში და ამ შემთხვევაში შეიძლება მიწა გასხვისდეს.

ვინ გადაწყვეტს, ვინ შეაფასებს, რამხელა მნიშვნელობის ინვესტიციასთან გვაქვს საქმე? ამ ყველაფერს ეკონომიკის სამინისტრო გადაწყვეტს, რომელსაც ჩვენ არ ვენდობით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გაყიდვა უნდა აიკრძალოს. აიღონ იჯარით და იმუშაონ, ვინ უკრძალავს?

ჩვენი მიწა-წყალი არ არის ყიდვა-გაყიდვის ჩვეულებრივი საგანი.

– საკონსტიტუციო სასამართლოს ბერძენი მოქალაქეების ჯგუფმა მიმართა, რომელსაც მხარი დაუჭირა სახალხო დამცველმა და მათ სარჩელზე მიიღო გადაწყვეტილება მორატორიუმის მოხსნის შესახებ.

– სახალხო დამცველი ჩვენი არ არის, ფორმალურად ასე ჰქვია. ნინო ლომჯარიას ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ მხარი არ დაუჭირა. ამ თანამდებობას ის ნამდვილად არ იმსახურებს.

ჩვენ მცირემიწიანი ქვეყანა ვართ. ჩვენს ერს ჯერ არ გააჩნია ის საშუალება, მიწები იყიდოს, დაამუშაოს. ადამიანი თავის საკუთარ საკარმიდამოს ვერ ამუშავებს. ქვეყნის ცხოვრების ასეთ პერიოდში მსგავსი გადაწყვეტილებები არ უნდა მიიღო.

„არჩევნების შედეგს როგორ ვალიარებთ, როცა ეს, რეალურად, არჩევნები არ ყოფილა“

შოთა მალაშხია: „საქართველოს ჰყავს პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია და დამნაშავე ხელისუფლება“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ წარმომადგენელ შოთა მალაშხიას.

– თქვენი გაერთიანება ისევ არ აღიარებს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს. ამის წინააღმდეგ დაწყებულია სამართლებრივი ბრძოლა და იგეგმება ახალი აქციები. იმავდროულად, მოითხოვთ საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო გარემოს შეცვლას.

– ჩვენს ქმედებებში არის თანმიმდევრულობა. არჩევნების წინ ვამბობდით, რომ საპრეზიდენტო არჩევნები პირველი ეტაპია, რასაც მოჰყვებოდა სხვა მოთხოვნები და ნაბიჯები. ისევ აუცილებლად მივიჩნევთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. ამისათვის საჭიროა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ამ არჩევნების შედეგს როგორ ვაღიარებთ, როცა ეს, რეალურად, არჩევნები არ ყოფილა. უცხოელმა დამკვირვებლებმა ამ საპრეზიდენტო არჩევნებს ძალიან მძიმე და მკაცრი შეფასება მისცეს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ მოხდეს იმ ადამიანის ლეგიტიმაცია, რომელმაც განაცხადა, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო. ეს არის ღალატი. რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, სამართლებრივ ბრძოლას არ შევწყვეტთ.

– სამართლებრივ ბრძოლას მომავალშიც აპირებთ?

– რასაკვირველია. პროცესი შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს. ზურაბიშვილის ანტისახელმწიფოებრივ პრორუსულ განცხადებებს ვერ წავშლით.

– არჩევნების შემდეგ მან რუსეთის მიმართ ხისტი განცხადებები გააკეთა.

– ეს სწორი განცხადებებია, მაგრამ როგორ დავუჯეროთ ადამიანს, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამს? რომელია ნამდვილი? რა ვიცით, რას გააკეთებს ინაუგურაციის შემდეგ? ასე იქცევიან არამდგრადი ფსიქიკის მქონე ადამიანები. ამგვარი ფსიქიკა აქვს სალომე ზურაბიშვილს თუ რუსეთიდან მოვიდა ახალი დაკვეთა, ეს ჩვენთვის არსებითი არ არის. ჩვენ ხომ სახელმწიფო ვართ! ცუდი ისაა, რომ ჰაააგის სასამართლოში ამ ქალის წინანდელ განცხადებებს გაგვახსენებენ. მარტო მისას არა. გვეტყვიან, რომ მსგავსი რამე აქვთ ნათქვამი ყოფილ პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ა. შ. ხომ იფიქრებენ, რომ ესაა სახელმწიფოს პოზიცია და არა ის, რა წერია სარჩელში რუსეთის წინააღმდეგ! ეს იგივეა, ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმეზე პროცესის დროს მეორე მხარის პოზიცია რომ დაიკავოს.

– ვადამდელი არჩევნები რეალურია?

– ეს არჩევნები მომწიფებულია. ხელისუფლება ამას არ აღიარებს. ამითაც გამოჩნდა, რომ საქართველოს ჰყავს პასუხისმგებლიანი ოპოზიცია და სრულიად უპასუხისმგებლო და ანტიხალხური ხელისუფლება.

– ოპოზიციის პასუხისმგებლობა სად გამოჩნდა?

– მოქმედებებში. ოპოზიციური გაერთიანების საპრეზიდენტო კანდიდატმა მიიღო 800 ათას ხმაზე მეტი. ჩვენ რომ პასუხისმგებლიანი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოპოზიცია არ ვიყოთ, გამოვიყვანდით ამ ხალხს და მოხდებოდა ის, რაც დემოკრატიულ საფრანგეთში ხდება.

– ჩვენი ხალხი ფრანგებისაგან განსხვავდება და აქტიური არ არის.

– მიუხედავად ამისა, ახლა ხალხი გამოვიდოდა. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, არ გამოვიდეთ კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებიდან. არჩევნები გაგვიყალბეს და გადატრიალების მცდელობასაც ჩვენ გვაბრალებენ. არჩევნებში თუ ვმონაწილეობთ, არეულობა რატომ უნდა გვინდოდეს! მათი თქმით, ხან საბურავებს ვაგროვებდით და ხან ხელისუფლების დამხობას ვცდილობდით. „ოცნებამ“ ყველაფერი იკადრა – ოპოზიციის მიმართ ყალბი ბრალდებებით დაწყებული, კრიმინალური ელემენტების არჩევნებში ჩარევით დამთავრებული. არჩევნებში მაღალჩინოსნებიც იყვნენ ჩაბმული.



– კერძოდ?

– მეორე ტურის დროს შინაგან საქმეთა მინისტრი სამეგრელოში იმყოფებოდა. იმის მაგივრად, რომ დედაქალაქიდან ეკონტროლებინა წესრიგი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რატომღაც სამეგრელოში ჩავიდა.

– დამთავრდა თუ არა არჩევნები, გაჭირვებულ მოსახლეობას პური გაუძვირეს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა აკრძალვა უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვის თაობაზე..

– ესეც იმის მანიშნებელია, რომ ბლეფი გრძელდება. 2012 წელს ივანიშვილმა ბევრი თაღლითური დაპირება გასცა, მაგრამ აქედან არაფერი გაუნაღდებია. პირველი ტურის შემდეგ მოგვიწოდა, ერთი წელი მაცალეთო. ვალების დაფარვაზეც ითაღლითა.

– ხომ უფარავენ 600 ათასამდე მოვალეს კრედიტს?

– ეს უიმედო ვალებია. ამ ვალებს ადამიანები ვერ იხდიდნენ. ივანიშვილმა საკითხის გადაწყვეტა მიიწერა. პური არჩევნებამდე არ გააძვირეს. ბენზინზე რომ მსოფლიოში ფასები იკლებს, ჩვენთან ისევ ძვირია. ყველამ ვნახეთ, როგორ მოსთხოვეს 4 მილიონი ოქუაშვილს. ასე ითხოვენ წილებს პურისა და ნავთობის ბიზნესიდან. ბიზნესი დარეკეტებულია. შესაცვლელია ეს სისტემა.

– ამ სისტემამ სააკაშვილის დროს გაიდგა ფესვები.

– სამწუხაროდ, ეს სისტემა მაშინაც იყო. ყოველთვის მანკიერი იყო ეს სისტემა, მაგრამ ახლა ის ბევრად უარესია.

– უარესი რითია?

– წინა ხელისუფლების დროს იმ ფულით რაღაც კეთდებოდა კიდეც. მაგალითად, სიღნაღი ან ბათუმი. ახლა ეს ფული ამათი სამსართულიანი სასახლეების აშენებას და განცხრომას ხმარდება. ადრე იყო სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი ჩარევა, ახლა კი კორუფციული ჭაობი და ხალხის სიღატაკის ზრდაა.

– სისტემური ცვლილებები მარტო ამ სფეროს არ უნდა შეეხოს?

– ბუნებრივია. მაგალითად, გენპროკურორი უნდა იყოს არა ივანიშვილის ადვოკატი, არამედ, დამოუკიდებელი, სამართლიანი პროფესიონალი. აუდიტი უნდა დაკომპლექტდეს თავისუფალი ადამიანებით, რომლებიც ყველაფერს გამოიკვლევენ, მათ შორის, უკანონო ტენდერებს. თუ ნორმალური ტენდერები გაიმართება, ეკონომიკა გაიზრდება. დღეს პური იმიტომ გაძვირდა და ბენზინზე ფასი იმიტომ არ კლებულობს, რომ ხელისუფლებას არ მოაკლდეს შავი ფული ბიზნესიდან. ცვლილებები ქვეყანაში მარტო იმ ხალხის მოთხოვნა არ არის, რომელმაც ხმა მოგვცა. ეს ბევრი იმ ადამიანის დაკვეთაცაა, რომელიც არჩევნების დროს სახლში დარჩა, ან ზეწოლით მისცა ხმა ხელისუფლების კანდიდატს. სინამდვილეში, „ქართულმა ოცნებამ“ ეს არჩევნები წააგო. ჩვენი მხრიდან კი ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ მშვიდობიან ბრძოლას არ შევწყვეტთ.

„ყველა ცდილობს, მოასწროს ბანკებიდან სესხის აღება და უძრავი ქონება იყიდოს“

საბანკო რეგულაციების ამოქმედება დაანონსებიდან უკვე ორჯერ გადავადდა. ბოლო ვერსიით, საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო და საფინანსო სექტორისთვის ახალ რეგულაციებს 2019 წლის 1 იანვრიდან აამოქმედებს. დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დაგეგმილმა რეგულაციებმა და მისმა „მოლოდინმა“ სამომხმარებლო ბაზარზე სურათი შეცვალა. საუბარია, უძრავი ქონების და ტექნიკის ბაზარზე.

სამშენებლო-დეველოპერული კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე აცხადებს, რომ ოქტომბრის თვეში, როდესაც დაანონსებული იყო რეგულაციების 1 ნოემბერს ამოქმედება, ერთ-ერთი ბანკის იპოთეკურმა ცენტრმა იპოთეკური გეგმა 180%-ით შეასრულა. აბულაძე განმარტავს, რომ სავარაუდოდ, სხვა ბანკებშიც ანალოგიური სიტუაცია იქნებოდა.

– მიდიოდა ჩამორეკვები ყველასთან, რომ ხალხს შეზღუდვების დაწესებამდე კრედიტები აეღო, ამის გამო მოსახლეობაში ერთგვარი პანიკა იყო. ამ პერიოდში ძალიან დიდი რაოდენობით სესხი გაიცა, – აცხადებს აბულაძე.

მისივე განმარტებით, მოთხოვნა გაიზარდა სამშენებლო სექტორშიც, რომელიც გაყიდვებზეც აისახა.

– ყველა ცდილობდა იმ პერიოდში მოესწრო ბინის, უძრავი ქონების ყიდვა. რთულია იმის თქმა, თუ სამშენებლო სექტორს რამდენი პროცენტით გაეზარდა გაყიდვები, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვინც მაშინ ვერ მოასწრო შეძენა, ისინი ახლა აქტიურდებიან. უნდა აღვნიშნოთ, მოთხოვნა შესაძლოა მეორად ბინებზეც ყოფილიყო, – აცხადებს აბულაძე.

„საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის“ მმართველი საბჭოს წევრი, კომპანია Noble Real Estate-ის დამფუძნებელი ვაჟა მებაღიშვილი აცხადებს, რომ ოქტომბრიდან მეორად ბაზარზე ტრანზაქციების რაოდენობა დაახლოებით 10-15%-ით გაიზარდა. მისი მტკიცებით, ყველა ცდილობს მოასწროს ბანკებიდან სესხის აღება და უძრავი ქონება იყიდოს. მოთხოვნაა როგორც ადგილობრივი მომხმარებლის, ასევე უცხოელების მხრიდან.

როგორც ვაჟა მებაღიშვილი აღნიშნავს, მოსახლეობა უძრავ ქონებას ძირითადად ბიზნესის დაწყების მიზნით ყიდულობს. მათ შორის, გასაქირავებლადაც. ძალიან დიდი აქტივობაა ისეთ უძრავ ქონებაზე, სადაც შესაძლოა კლიენტმა სასტუმროს ბიზნესი დაიწყოს და განავითაროს. განსაკუთრებული მოთხოვნაა ძველ თბილისზე, მათ შორის, მთაწმინდა, ავლაბარი, ვერა, ვაკე.

მისი განმარტებით, ტრანზაქციების ზრდის ტენდენცია ახლაც გრძელდება.

ტექნიკის მაღაზიათა ქსელი „ბეკოს“ გენერალური დირექტორი მეჰმედ მელექი განმარტავს, რომ გაყიდვების სტატისტიკა არაერთგვაროვანია. კერძოდ, თბილისში გასულ წელთან შედარებით გაყიდვები დაახლოებით, 20 პროცენტითაა გაზრდილი, რასაც ვერ ვიტყვით რეგიონებზე. მისი განმარტებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სესხის გაცემაზე ამოქმედებულმა რეგულაციების პირველმა ტალღამ, რომელიც სესხების გაცემის შეზღუდვას შემოსავლების დადასტურების გარეშე გულისხმობს, ტექნიკის განვადების რაოდენობა გარდა დიდი ქალაქებისა, ყველა რაიონში დაახლოებით 10-დან 20%-მდე შეამცირა.

კითხვაზე, ხომ არ უკავშირდება თბილისში გაყიდვების 20%-იანი ზრდა დაანონსებულ საბანკო რეგულაციების ამოქმედებას, მელექი ამბობს, რომ არა, გააქტიურებულ გაყიდვებს კი მელექი წინასაახალწლო პერიოდს უკავშირებს.

„საქართველოს საბანკო ასოციაციის“ პრეზიდენტი ალექსანდრე ძნელაძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ მაისში, რეგულაციების პირველი ნაწილი ძალაში უკვე შევიდა, რომელიც შემოსავლების დადასტურების გარეშე სესხების შეზღუდვას გულისხმობს. ამის შედეგად, ბანკების უმეტესობამ უკვე შეზღუდა სესხების გაცემა. აქედან გამომდინარე, გააქტიურება არ შეინიშნებოდა.

– რაც შეეხება იპოთეკურ სესხებს, მათზე წინა პერიოდშიც საკმაოდ მზარდი ტენდენცია იყო და ასეა დღემდეც. თუმცა, ამას რეგულაციამდე პერიოდს ვერ მივაწერ. საბანკო სისტემაში საკმაოდ მაღალი გეგმები იყო, მათ შორის იპოთეკური სესხების ზრდის თვალსაზრისით. 2016 წელს, როდესაც სტაგნაცია შეინიშნებოდა, იმისი დაკომპენსირება ახლა ხდება. დაგეგმილი იყო იპოთეკური პორტფელის 30 პროცენტიანი ზრდა. დღეს გვაქვს მხოლოდ ოქტომბრის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ტრენდი იგივეა, არაფერი ისეთი ცვლილება არ არის. ფიქსირდება ზრდა 30%-ის ფარგლებშიც. თუმცა, ეს ბანკების გაცხადებული მოლოდინებია.

ოქტომბრის შუა პერიოდში რეაქცია 1-კვირიანი იყო. ასეთი მცირე ვადიანი გააქტიურება სისტემურ მაჩვენებელზე მკვეთრად არ ასახულა. ახლა იმ ადამიანებმა აიღეს სესხი, რომლებიც 2-4 თვის შემდეგ აპირებდნენ. ეს იმას დააკომპენსირებს, რომ იქითა წელს აღარ აიღებენ, – განმარტავს ძნელაძე.

რეგულაციების ბოლო ვერსიის მიხედვით, ბანკებს უნდა დაუწესდეთ შეზღუდვა სესხის გაცემის პოლიტიკასთან დაკავშირებით – მათ მოუწევთ უფრო მკაცრად შეაფასონ მომხმარებლის (სესხის მსურველის) გადახდისუნარიანობა და სესხების გაცემის პოლიტიკა გაამკაცრონ. საუბარია რეგულაციებზე, რომლის თანახმად: იპოთეკაზე წესდება მაქსიმუმ 15-წლიანი ლიმიტი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი მაქსიმუმ 10-წლიანი იქნება, ავტოსესხი მაქსიმუმ 6-წლიანი, ნებისმიერი ტიპის სესხის ხანგრძლივობა 4 წელს არ უნდა აჭარბებდეს.

2018 წლის სიახლე თბილისში – მე-19 საუკუნის სადარბაზოს რესტავრაციისთვის 119 ათასი ლარი დაიხარჯა

კახა კალაძემ თბილისის მერის პოსტზე ერთწლიანი საქმიანობის შეჯამებისას იმ პროექტებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებაც ბოლო 12 თვის განმავლობაში მოასწრო.

კომერსანტი გაგაცნობთ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელიც 2018 წელს თბილისისთვის გაკეთდა.

პირველი პროექტი, რომლის შესახებაც მოგიყვებით, მე-19 საუკუნის კულტურული მემ-

კვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს. შენობა მთაწმინდის რაიონში, თაბუკაშვილის ქ. №42-ში მდებარეობს.

საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ფერწერული კომპოზიციის დიდი ნაწილი, თვითნებური ჩარევის შედეგად, შეცვლილი და გადაკეთებული იყო, რის გამოც, სადარბაზოს პირვანდელი იერსახე დაკარგული ჰქონდა.

ადრეული მხატვრობის ნიმუში, რაზეც წელიწადის დროებია გამოსახული, კონსერვატორ-რესტავრატორების მიერ პირვანდელი სახით აღდგა.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე სადარბაზოს კარს, მოზაიკურ იატაკსა და ლითონის მოაჯირებს.

აღნიშნული შენობა 1889 წელსაა აგებული, ინტერიერის მოხატულობა კი იმდროინდელი თბილისური სადარბაზოებისთვის დამახასიათებელი მხატვრობის უნიკალური ნიმუშია.

სადარბაზოს რეაბილიტაცია მთაწმინდის გამგეობამ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განახორციელა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 119 ათასი ლარი დაიხარჯა.

დეველოპერული კომპანია „სამშენებლო ინვესტიციები“ — ქალაქის ყველა უბანში

დეველოპერული კომპანია „სამშენებლო ინვესტიციები“ ქართულ ბაზარზე 2015 წლიდან მოღვაწეობს. ამ მოკლე პერიოდის მანძილზე, კომპანიამ საქართველოს მასშტაბით, 120.000-მდე კვადრატული მეტრის მშენებლობა განახორციელა, ამჟამად კი თბილისის ცენტრალურ უბნებში 3 მიმდინარე პროექტს ახორციელებს. ამ მოკლე პერიოდში „სამშენებლო ინვესტიციები“ ჩამოყალიბდა სანდო და ხარისხიან კომპანიად. ის განაგრძობს ზრდას როგორც სამშენებლო-ტექნოლოგიური, ასევე პროექტების ზრდის თვალსაზრისითაც.

კომპანია „სამშენებლო ინვესტიციების“ გენერალური დირექტორი გეგი ვასაძე აცხადებს, რომ კომპანიისთვის საზოგადოების ნდობა ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა. მისი განმარტებით, კომპანიის გუნდი აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ პროდუქტმა მოლოდინს გადააჭარბოს და საცხოვრებელი ბინები მომავალ მობინადრეებს ვადების და ხარისხის სრული დაცვით ჩაბარდეს.

– კომპანია „სამშენებლო ინვესტიციები“ მობინადრეებს კიდევ ერთ ინოვაციურ პროდუქტს სთავაზობს. კერძოდ, ჩვენს მობინადრეებს ბინის შეძენასთან ერთად გადაეცემათ საგაზღვევო კომპანია „არდის“ მშენებლობის ვადების დაზღვევის პოლისი, რომელიც მობინადრეთა სიმშვიდის და ინტერესების სრულ დაცულობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ჩვენი მობინადრეებისთვის დღის წესრიგში აღარ დგას მშენებლობის ვადაში დასრულება-არდასრულების საკითხი, ისინი საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო სადაზღვევო კომპანიაში არიან დაზღვეულები, – აღნიშნავს გეგი ვასაძე.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, თბილისში მოთხოვნა უძრავ ქონებაზე საკმაოდ მაღალია და მრავლადაა ახალ-ახალი სამშენებლო პროექტები, მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსში ბინის შეძენა მომხმარებლისთვის მაინც ფაქიზ და რთულ საკითხად რჩება. სწორედ ამიტომ, კომპანიამ „სამშენებლო ინვესტიციები“ მომხმარებლისთვის განსხვავებული პროდუქტების შეთავაზება გადაწყვიტა.

სამშენებლო ინვესტიციების პრემიუმ ხაზის პროექტი პეტრიაშვილზე ძველი თბილისის ერთ-ერთ უნიკალურ უბანში მდებარეობს. პროექტი მობინადრეებს მაქსიმალურ კომფორტს შესთავაზებს – 24 საათიან დაცვას, სადარბაზოებისა და კერძო ეზოს ყოველდღიურ დასუფთავებას, კონსიერჟის მომსახურებას ავტომობილის პარკირებისთვის, ტაქსის გამოძახებისთვის, ბილეთების დაჯავშნისთვის, ბინის ტექნიკურ საკითხებში მხარდაჭერისთვის და ა.შ.

მობინადრეებისათვის, ასევე უზრუნველყოფილი იქნება ელექტრომანქანის დამტენები.

– რაც შეეხება საცხოვრებელ ბინებს, ვეცადეთ, ჩვენი მობინადრეებისთვის მაქსიმალური კომფორტი შეგვექმნა და ვთავაზობთ ფართებს მწვანე კარკასის მდგომარეობით, რაც კოსმეტიკურ რემონტამდე მიყვანილ სამუშაოებს გულისხმობს. თვითონ ბინების გეგმარება კი მობინადრის სურვილისამებრ ხდება. მობინადრეებს ასევე შეგვიძლია შევთავაზოთ ინტერიერის დიზაინის და სრული სარემონტო სამუშაოების მომსახურებაც, – აღნიშნავს ვასაძე.

პეტრიაშვილის პრემიუმ კლასის საცხოვრებელ კომპლექსში გაერთიანებულია, როგორც საცხოვრებელი ბინები 53კვ.მ-დან, ასევე პენტჰაუსები ულამაზესი, პანორამული ხედებით თბილისა და მთაწმინდაზე.

კომპანია „სამშენებლო ინვესტიციების“ გაყიდვებისა და მარკეტინგის ხელმძღვანელი მარიამ აფაქიძე განმარტავს, რომ სამშენებლო ინვესტიციების პროექტები მთლიანად მორგებულია მომხმარებლის სურვილებსა და საჭიროებებზე. ამიტომ, კომპანიაში მოსულ ნებისმიერი გემოვნების მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი პროექტი, იქნება ეს ბინა ქალაქის ცენტრში თუ ბუნებასთან ახლოს.

მაგალითად, საცხოვრებელი კომპლექსი უნივერსიტეტის ქუჩაზე, გათვლილია სიმშვიდის, სიმყუდროვის და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მოყვარულთათვის. კომპლექსის თითოეული ბინიდან ულამაზესი ხედი იშლება ბუნებაზე.

რაც შეეხება შარტავას ქუჩაზე მიმდინარე პროექტს – ქალაქის მჭიდრო განაშენიანებიდან გამომდინარე, რთულია ისეთი ტერიტორიების მოძიება, სადაც საცხოვრებელ კომპლექსთან ერთად, ეზოს მოწყობის საშუალებაც იქნება. „მიუხედავად ამისა, ჩვენი კომპანია, მაქსიმალურად ცდილობს გადაუჭრას მობინადრეებს ეზოს და გამწვანების პრობლემა. მაგალითად, შარტავას პროექტზე, არ გვქონდა საშუალება გარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის, ამიტომ ჩვენმა არქიტექტორებმა, კომპლექსი ოპტიმალურად დააპროექტეს და საცხოვრებელი კომპლექსის მეორე სართული რეკრეაციულ და საბავშვო ზონას დაეთმო.

რეკრეაციული ზონა ნაწილობრივ ღია ცის ქვეშ იქნება განთავსებული. შარტავას 75-ში მიმდინარე მშენებლობა გამოირჩევა პანორამული ხედებით მტკვარზე და თბილისზე, რაც მას კიდევ უფრო განსხვავებულს და მოთხოვნადს ხდის, რადგან თბილისის ცენტრალურ უბნებში მსგავსი პროექტების დეფიციტია, შესაბამისად, საცხოვრებელმა კომპლექსმა მიმდინარე ლოკაციაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და ამ ეტაპზე ბინების 95% უკვე გაყიდულია“ – აღნიშნავს აფაქიძე.

დეველოპერული კომპანია „სამშენებლო ინვესტიციები“ მომხმარებელს, გარდა საცხოვრებელი ბინებისა, სხვადასხვა მომსახურებასაც სთავაზობს, რადგან კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, ბინების ჩაბარების შემდეგაც გაგრძელდეს მათზე ზრუნვა. „სამშენებლო ინვესტიციების“ თითოეულ მობინადრეს გადაეცემა კომპანიის საწევრო ბარათი, რომლის მეშვეობითაც მიიღებენ ექსკლუზიურ ფასდაკლებებს ობიექტებზე, რომელიც მათ მომავალი ბინის მოწყობისთვის აუცილებლად დასჭირდებათ.

კომპანიის საწევრო ბარათი მოიცავს 20-მდე დიდ კომპანიას, როგორებიცაა: ფორუმი ახალი ნათება, ლაბორატორია ჩემი სახლი, იტალიური ბრენდი პალაცანი და სხვა.

კომპანია „სამშენებლო ინვესტიციების“ მიზანია, შეინარჩუნოს მოწინავე ადგილი ბაზარზე, კიდევ უფრო განვითარდეს და მომხმარებელს უწყვეტად შესთავაზოს ინოვაციური, ხარისხიანი და მაქსიმალურად კომფორტული პროდუქტები. „უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ხშირად ვესწრებით უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენებს. შარშან, გაერთიანებულ ემირატებში „Cityscape Global“-ის გამოფენაზე მივიღეთ მონაწილეობა, სადაც ძალიან სერიოზული და მსხვილი პარტნიორები შევიძინეთ. 2019 წელს კი ვგეგმავთBau-ს გამოფენას დავესწროთ მიუნხენში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოფენაა უძრავი ქონების დარგში და მხოლოდ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება.

ჩვენი კომპანიის სლოგანია „ქალაქის ყველა უბანში“, შესაბამისად, ქალაქის სხვადასხვა უბნებში დაგეგმილი გვაქვს კიდევ რამდენიმე დიდი პროექტის განხორციელება.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის იერსახე, ამიტომ თითოეული შენობის დაპროექტებას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით და ვცდილობთ შევქმნათ მაქსიმალურად თანამედროვე შენობები, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის მიმდებარე ტერიტორიის გარემოსა და არქიტექტურას“ – აღნიშნავს აფაქიძე.

კომპანია ასევე აქტიურად მუშაობს სასტუმრო ბიზნესში ინვესტირების საკითხზე. სულ ცოტა ხნის წინ ხელი მოეწერა ახალ პროექტს, რომელიც გულისხმობს გუდაურში საერთაშორისო სტანდარტების, ინოვაციური აპარტოტელების მშენებლობას, პროექტის მოცულობიდან გამომდინარე პროექტის მშენებლობა ეტაპობრივად განხორციელდება, ეს პროექტი საინტერესო იქნება როგორც სამთოსათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის, ასევე უძრავ ქონებაში ინვესტირებით დაინტერესებული ადამიანებისთვისაც.

კომპანია სამშენებლო ინვესტიციები, მის მომავალ მობინადრეებს კომპანიის ისტორიაში უპრეცედენტო საახალწლო ფასდაკლებას სთავაზობს, რომელიც მხოლოდ დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

„კომერსანტი“

ტენდერები და გამარტივებული შესყიდვები — კორუფციული გარიგებების მაღალი რისკი ხალხის ფულით

არის თუ არა სახელმწიფო შესყიდვების სისტემა კორუფციული გარიგებების ეპიცენტრში

სახელმწიფო შესყიდვები ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა როგორც ბიზნესის, ისევე სამოქალაქო სექტორის მხრიდან. ხშირია საუბრები ტენდერებსა და პირდაპირი მიყიდვის გზით შესყიდვებში არსებულ შესაძლო კორუფციულ გარიგებებზე, რადგან საკითხი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებსა და მის რაციონალურ ხარჯვას ეხება.

2015 წელს პირდაპირი შესყიდვების მოცულობა მთლიან მაჩვენებელში იყო 32%, 2016 წელს – 38%, 2017 წელს კი – 25%. რამდენად გამჭვირვალედ ტარდება საქართველოში ტენდერები, რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას სახელმწიფო შესყიდვები და რა არის გამოსასწორებელი ამ მიმართულებით, „ბანკები და ფინანსები“ შესყიდვების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელ გიორგი ბაჯელიძეს ესაუბრა.

ბაჯელიძის თქმით, სახელმწიფო შესყიდვებში მთავარი გამოწვევა არის გამარტივებული შესყიდვები, ანუ ის შესყიდვები, რომელიც ტენდერის გარეშე ტარდება.

– სახელმწიფო შესყიდვებში მთავარი გამოწვევა არის გამარტივებული შესყიდვები, ანუ ის შესყიდვები, რომელიც ტენდერის გარეშე ტარდება. როგორც წესი, მას ახასიათებს საკმაოდ დიდი კორუფციული რისკი. ამ დროს იზღუდება მონაწილეების რაოდენობა და ტარდება სრულიად გაუმჭვირვალედ. ასეთი ტენდერები არსად არ ცხადდება. შემსყიდველი იწვევს თავისი მოსაზრებებიდან და თავისი შეხედულების მიმართ მხოლოდ რამდენიმე კომპანიას, რომლებიც შემდეგ წარადგენენ ფასს. ამიტომ, ვფიქრობ, მთავარი გამოწვევა სახელმწიფო შესყიდვებში გამარტივებული შესყიდვებია, სადაც დიდი კორუფციული ნიშნები შეიმჩნევა.

2015 წელს პირდაპირი შესყიდვების მოცულობა მთლიან მაჩვენებელში იყო 32%, 2016 წელს – 38%, 2017 წელს კი – 25% იყო, მაგრამ 2017 წლის მაჩვენებელი არასწორად, უფრო სხვანაირად იყო დათვლილი. მთლიანი წილის თითქმის მესამედი და მეოთხედი ტარდება ტენდერების გარეშე, რაც სერიოზული პრობლემაა. ევროკავშირის და განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა რომ ავიღოთ, იქ გამარტივებული შესყიდვები ტარდება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ, ფორსმაჟორულ შემთხვევებში. მისი წილი არ აღემატება 3-5%-ს. შესაბამისად, ჩვენთან ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა, – აცხადებს ბაჯელიძე.

ბაჯელიძე იმ სექტორებზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც წლებია შეინიშნება კორუფციული გარიგებების რისკები. მისივე თქმით, კორუფციული ნიშნები შეიმჩნევა ავტომობილების შესყიდვის, სამედიცინო აპარატურების შეძენის, წამლების, პრეპარატების, იგივე ფაროსანას საკითხის მიმართულებით ჩატარებულ ტენდერებსა და პირდაპირი წესით შესყიდვებზე.

– ყველა ტენდერი, რომელიც ტარდება, აღირიცხება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე. ყველა ტენდერში მონაწილეს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, ხედავს, შეუძლია პროცესის კონტროლი, შეუძლია სატენდერო პირობების გასაჩივრება, გაასაჩივროს სატენდერო კომისიის ქმედება და, შესაბამისად, ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას, რომ პროცესი გამჭვირვალეა. თუმცა, აქ შეინიშნება სხვა ტიპის პრობლემები. მაგალითად, რიგ ტენდერებში ხდება პირობების მორგება კონკრეტულ ფირმაზე. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ავტომობილების შესყიდვის მიმართულება. აქ რამდენიმე კომპანია აკონტროლებს ბაზარს. ერთ-ერთი კომპანია, რომელიც შეიძლება დავასახელო, არის „იბერია ჯგუფი“ და „იბერია მოტორს ჯგუფი“, რომლებიც წლების განმავლობაში მარტო თვითონ არიან მხოლოდ ერთი მონაწილე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შესყიდვებს რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ 10-12 წელია ერთი და იგივე კომპანია ყიდულობს მანქანებს. ეს არის პატრულის მანქანები. ტენდერი ცხადდება, მაგრამ მას ფორმალური ხასიათი აქვს. ერთადერთი შემთხვევა აქ „ფორდების“ შემოყვანის შემთხვევა იყო. ამის შემდგომ ისევ „იბერია ჯგუფს“ დაუბრუნდა, თუმცა ამ დროს შესაძლებელია, რომ ისეთი პირობები ჩაიდოს ტენდერის პირობებში, რომ სხვა კომპანიებმაც შეძლონ მონაწილეობის მიღება. დღეის მდგომარეობით ამ ტენდერებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ „ფოლკსვაგენებს“ და „შკოდებს“ შეუძლიათ.

ავტომობილების გარდა, კიდევ უამრავი სფერო არის, სადაც კორუფციული ნიშნები შეიმჩნევა. მაგალითად, სამედიცინო აპარატურების მიმართულებით, წამლები, პრეპარატები, იგივე ფაროსანას საკითხი, რომლებშიც შეინიშნება პრობლემები.

ყველაზე მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ ხდება ამ ტენდერების უტილიზაცია. ერთი სტანდარტული ფორმა, ერთი სტანდარტული მიდგომა არ არსებობს. მაგალითად, ვთქვათ ერთი ორგანიზაცია აცხადებს სამშენებლო ტენდერს და მეორე ორგანიზაციაც აცხადებს სამშენებლო ტენდერს, წინასწარი ღირებულება დაახლოებით არის მილიონი ლარი. ერთმა შეიძლება გამოაცხადოს ტენდერი და თქვას, რომ მე ვითხოვ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჰქონდეს მას ბრუნვა 5 მილიონი სიტყვაზე და ორი მსგავსი ტიპის სამუშაო ჰქონდეს ჩატარებული ბოლო 5 წლის განმავლობაში. მეორემ შეიძლება თქვას იგივე მილიონიან სამუშაოზე, რომ ის ითხოვს ბრუნვა ჰქონდეს იგივე სამუშაოზე ბოლო სამი წლის განმავლობაში წლიურად ნახევარი მილიონი ლარი და ერთი მსგავსი ტიპის სამუშაო ჰქონდეს ჩატარებული. ანუ, სხვადასხვა პირობები გამოაცხადონ ერთი და იმავე ტიპის და ღირებულების სამუშაოს შესასრულებლად. ეს სერიოზულ პრობლემას იწვევს.

გიორგი ბაჯელიძე სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ხარვეზებისა და რისკების პრევენციის მიზნით, შესყიდვების სააგენტოს ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების აუცილებლად გაზიარებას ურჩევს.

– ამ დროს არსებობს რეკომენდაციები. სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე შეგვიძლია ვნახოთ რეკომენდაციები და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, სადაც გაწერილია ზუსტად რამდენი უნდა მოითხოვოს ბრუნვები, რა კვალიფიკაციები უნდა მოითხოვოს შემსყიდველმა, მაგრამ ამ რეკომენდაციებს ნებაყოფლობითი ხასიათი აქვთ. შემსყიდველი ორგანიზაციები ხომ ბევრია, მათ შეუძლიათ ეს წაიკითხონ, გაითვალისწინონ ან არ გაითვალისწინონ და შემდგომ თავისი შეხედულებისამებრ გამოაცხადონ ტენდერი.

ამიტომ, რეკომენდაციების სახით რომ ეს სფერო მოწესრიგდეს, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო შესყიდვები სააგენტომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს და დაავალდებულოს შემსყიდველი ორგანიზაციები, რომ ეს რეკომენდაციები, რომლებიც ევროკავშირის დირექტივებით და მსოფლიო ბანკის გამოცდილებით არის გაწერილი, უნდა გახდეს სავალდებულო, რათა შემსყიდველს ლავირების საშუალება არ ჰქონდეს.

მეორე, მაქსიმალურად შემცირდეს გამარტივებული შესყიდვების რაოდენობა, რასაც სჭირდება პოლიტიკური ნება, იმიტომ, რომ შესყიდვების სააგენტო ვერ უზრუნველყოფს სამინისტროების მოთხოვნების უგულებელყოფას. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების კანონიდან უნდა ამოვიდეს მეათე მესამე პრიმა დ-მუხლი, სადაც წერია, რომ საზოგადოებრივ და სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში ჩატარებით შეიძლება გამარტივებული შესყიდვის ჩატარება. უტენდერო შესყიდვები მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციებში უნდა ტარდებოდეს, – აცხადებს ბაჯელიძე.

BFM.GE

ბუცხრიკიძის შეფასებით, ე.წ. პრობლემური სესხები ძირითადად მისო-ებში იყო დაგროვილი

გასანულებელი სესხები TBC ბანკში დაახლოებით მთლიანი სასესხო პორტფელის 1%-ია.

ამის შესახებ ჟურნალისტებს TBC ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ განუცხადა.

მისი განმარტებით, საერთო ჯამში, ბანკს დაახლოებით 120 მილიონი ლარი აქვს მოქალაქეებისთვის ჩამოსაწერი.

– როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი პორტფელი 9 მილიარდ ლარზე მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ეს არ არის ძირითადი ბიზნესი. ეს დაახლოებით 1%-ია ჩვენი მთლიანი აქტივების და ეს არის წლების განმავლობაში დაგროვილი ძველი სესხები. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ჩემი აზრით, ეს არის წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემა, რაც ძირითადად დაგროვილი იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. რეალურად პრობლემები იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის რეგულაციების არარსებობის გამო. ის 50%-იანი ზედა ზღვარი, რაც არის შემოღებული, მომავალში ასეთ პრობლემებს აღარ გამოიწვევს, – განაცხადა ბუცხრიკიძემ.

ბმ.გე

საფრანგეთში 2 ქართველი კანონიერი ქურდი და 8 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობით საფრანგეთში 2 ქართველი კანონიერი ქურდი და ორგანიზებული დაჯგუფების 8 წევრი დააკავა.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვლადიმერ ბორცვაძემ 10 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, ევროპის ქვეყნებში წარგზავნილი პოლიციის ატაშეების მეშვეობით, კვლავ აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან, ინტერპოლთან და ევროპოლთან.

„ქართველ სამართალდამცველებს მუდმივი კავშირი აქვთ ევროპელ კოლეგებთან ოპერაციების მომზადების, განხორციელების და ოპერატიული ინფორმაციების მიწოდების მიმართულებით.

ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ქართველი სამართალდამცველების აქტიური ჩართულობითა და უშუალო მონაწილეობით მიმდინარე წლის 10 დეკემბერს საფრანგეთის ქალაქ ლიონში ჩატარდა მასშტაბური სპეცოპერაცია სახელად „VORS 69-01“ – დაკავებულია საფრანგეთსა და ბელგიაში მოქმედი ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 22 წევრი. დაკავებულებს შორის საქართველოს 10 მოქალაქეა, მათ შორის 2 – „კანონიერი ქურდი“.

სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულები არიან საქართველოს მოქალაქეები: ქართველი „კანონიერი ქურდები“ – 1971 წელს დაბადებული მინდია ნიჟარაძე და 1973 წელს დაბადებული რევაზ სესკურია; ასევე, ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები – 1983 წელს დაბადებული ო.თ., 1983 წელს დაბადებული ს.ჩ., 1984 წელს დაბადებული რ.ნ.; 1968 წელს დაბადებული ი.ბ., 1983 წელს დაბადებული ზ.ო., 1974 წელს დაბადებული მ.ლ., 1983 წელს დაბადებული მ.ტ. და 1991 წელს დაბადებული ლ.რ.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები გასაქურდად ბინებს წინასწარ არჩევდნენ, მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ მონაცემებს აღნიშნული ბინების შესახებ, შემდეგ კი ქურდავდნენ. ასევე, იპარავდნენ ავტომობილებს, ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს და უკანონოდ ასაღებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს.

დაკავებულთა საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთები, მათ, შორის, ძვირფასეულობა, ცეცხლსასროლი იარაღი, ძვირადღირებული ავტომობილები, დიდი ოდენობით ფული, ყალბი დოკუმენტების დასამზადებელი ტექნიკა, სხვადასხვა ტიპის საკეტების გასაღები მოწყობილობები. სამართალდამცველებმა, ნივთმტკიცებად ასევე ამოიღეს სუბოტექსისა და მეტადონის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებები და კონტრაბანდული გზით მოპოვებული 1500 კოლოფი სიგარეტი. გამოძიების ინფორმაციით, საერთო ზარალმა 400 000 ევროზე მეტი შეადგინა.

დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს საფრანგეთის სსკ-ს 311-ე, 321-ე, 324-ე და 450-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები ედებათ ბრალად, რაც გულისხმობს საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯგუფურად არაერთგზის ჩადენილ ქურდობას, მოპარული ნივთების შენახვა-რეალიზაციას, ფულის გათეთრებასა და კრიმინალური დაჯგუფების წევრობას. დანაშაული 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის გამოვლენის, ზემოთ აღნიშნული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე მათი კავშირების დადგენისა და ოპერაციის დაგეგმვის მიზნით, ლიონში ჩატარებულ სპეცოპერაციას წინ უძღოდა საფრანგეთის ჟანდარმერიის, ბელგიის პოლიციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმეთვიანი ოპერატიულ-საგამოძიებო სამუშაოები საფრანგეთში, ბელგიასა და საქართველოში. ასევე, განხორციელდა სამართალდამცველთა სამმხრივი შეხვედრები თბილისსა და პარიზში.

დაკავების ოპერაციაში საფრანგეთის, ბელგიისა და საქართველოს 300-ზე მეტი სამართალდამცველი მონაწილეობდა. ასევე, ჩართული იყვნენ სპეცდანიშნულების დანაყოფები, კინოლოგიური სამსახური და გამოყენებული იყო ვერტმფრენი.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა. ამ მიმართულებით უწყება ეფექტიან ღონისძიებებს აქტიურად ახორციელებს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. 2018 წლის იანვრიდან დღემდე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მათ შორის ევროპის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად, 14 „კანონიერი ქურდი“ დაიკავა. ხოლო, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით სულ 190 პირია დაკავებული“, – განაცხადა ვლადიმერ ბოცვაძემ.

თბილისში ტელეფონზე თანხის ჩასარიცხად გადასულ მამაკაცს მანქანა გასტაცეს

თბილისში, წერეთლის გამზირზე, მოქალაქეს ავტომობილი მოჰპარეს. შემთხვევა გუშინ, 11 დეკემბერს, დილით მოხდა.

მამაკაცი მანქანიდან გადავიდა, რომ სწრაფი გადახდის აპარატიდან ტელეფონზე თანხა ჩაერიცხა. ამ დროს უცნობი პირი მის მანქანაში ჩაჯდა და გაიქცა.

მოპარული ავტომანქანით გამტაცებელმა ავარია მოახდინა და ხუთი მანქანა დაამტვრია.

მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის ერთობლივი მუშაობის შედეგად გატაცებული ავტომობილი მალევე იპოვეს.

ავტომანქანის გამტაცებელი დაკავებულია.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ქურდობას და 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

წყნეთის „წისქვილთან“ მაღალჩინოსნები გიორგი ყანჩაველმა დაჭრა?

დააკავეს ე.ზ., რომელმაც ჭაბუკა გუშარაშვილს თავში დოქი ჩაარტყა

რესტორან „წისქვილთან“ მომხდარი სისხლიანი გარჩევის შედეგად დაშავებული მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნებიდან ერთის მდგომარეობა უმძიმესია.

ის ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაშია. დანარჩენი ორი დაჭრილი თავს შედარებით კარგად გრძნობს.

ერთ-ერთი ვერსიით, ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები გიორგი ყანჩაველმა დაჭრა. მან საპატიმრო ცოტა ხნის წინ დატოვა.

დაჭრილები არიან იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე ზვიად მიხანაშვილი, ციხეებზე ზედამხედველობის სამსახურის ორ მაღალჩინოსანი, ჭაბუა გუშარაშვილი და ირაკლი ჭითანავა.

ბრალდებულმა გაქცევა მოასწრო.

ინციდენტის დროს ადგილზე იმყოფებოდა სპეციალური პენიტენციარული სამსახურის პენიტენციარული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი ალადაშვილიც, რომელმაც მომხდარის შემდეგ პატაკი დაწერა და თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

გუშინ, 11 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წყნეთში მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირი დაიკავა.

როგორც ირკვევა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელმა, 36 წლის მამაკაცმა რესტორან „წისქვილში“ ჭაბუკა გუშარაშვილს თავის არეში დოქი ჩაარტყა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში „ნიუპოსტს“ დაუდასტურეს, რომ დაკავებული ნამდვილად თანამშრომელია, თუმცა აღნიშნეს, რომ ე.ზ. მოცემულ მომენტში სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა და შვებულებაში იმყოფებოდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, საგნის იარაღად გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის ბრალდებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელი, 1982 წელს დაბადებული ე.ზ. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 10 დეკემბერს, ღამით, წყნეთის ერთ-ერთ რესტორანში მომხდარი დაპირისპირების დროს, თავის არეში საგნის ჩარტყმით დაზიანება მიაყენა 1985 წელს დაბადებულ ჭ.გ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ე.ზ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საგნის იარაღად გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ასევე, დადგენილია სავარაუდო დამნაშავის ვინაობა, რომელმაც აღნიშნული დაპირისპირების დროს, ცივი იარაღის გამოყენებით დაზიანებები მიაყენა სამ პირს. მის დასაკავებლად ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

1 დაღუპული და 4 დაშავებული — ავარია ზუგდიდში მსხვერპლით დასრულდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშთან ორი ავტომობილის შეჯახების შედეგად 1 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო დაშავდა 4 პირი, რომლებიც ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში არიან მოთავსებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ღამაშენებლის ხეივანზე მანქანა ბოძს შეეჯახა

მძღოლი დაიღუპა

თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 1 ადამიანი ემსხვერპლა.

ავტომობილი, რომელსაც 32 წლის კაცი მართავდა, გარე განათების ბოძს შეეჯახა. მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალა.

ფაქტზე გამოძიება ტრანსპორტით მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს.

გორში მაღაზია გაქურდეს

წაღებულია სასწორი და ბოსტნეული

გორში ხილ-ბოსტნეულის მაღაზია გაქურდეს.

„დიანიუსის“ ინფორმაციით, მაღაზიიდან წაღებულია ბოსტნეული და სასწორი.

შემთხვევა 10 დეკემბერს გვიან ღამით მოხდა, თუმცა ფაქტის შესახებ სამართალდამცველებს მაღაზიის გამყიდველმა 11 დეკემბერს დილით შეატყობინა.

მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტრო 177 მუხლით იძიებს, რაც ქურდობას გულისხმობს.

ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი: „საქართველოს სჭირდება სერიოზული გარღვევა ეკონომიკაში“

კომპანია „ნატახტრის“ კორპორატიულ საქმეთა დირექტორის ნიკოლოზ ხუნძაკიშვილის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკას წინსვლისთვის სერიოზული გარღვევა ესაჭიროება.

– ჩვენი ეკონომიკური ზრდა 4%-5%-ის ფარგლებში მაინც იქნება თუ ისე გავაგრძელებთ, როგორც ახლა ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენ გვჭირდება სერიოზული გარღვევა, გარღვევა ტექნოლოგიების მიმართულებით. ჩვენი მთელი რესურსი არის ადამიანური რესურსი, რომლის მობილიზება და კარგად მართვა შესაძლებელია, – განაცხადა ხუნძაკიშვილმა გადაცემა „საქმიან დილაში“.

მისი თქმით, ფინანსური რესურსი ბევრია და ამ რესურსების მოზიდვა შესაძლებელია, თუკი იარსებებს კარგი გუნდი.

bm.ge

მაკრონმა საფრანგეთში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გადაწყვეტილება მიიღო, ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური საგანგებო მდგომარეობა შემოიღოს.

ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ტელემიმართვაში განაცხადა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 2019 წლის იანვრიდან მინიმალური შრომითი ანაზღაურება თვეში 100 ევროთი გაიზრდება. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ პენსიონერებისთვის, რომლებიც თვეში 2.000 ევროზე ნაკლებს იღებენ, გადასახადები გაუქმდება.

საფრანგეთის პრეზიდენტის თქმით, დამსაქმებლები არ დაიბეგრებიან იმ პრემიების გაცემის გამო, რომლებსაც ისინი თანამშრომლებს გადაუხდიან წლის ბოლოს.

ემანუელ მაკრონმა ასევე განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში შეხვდება მსხვილი ბიზნესისა და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა აღნიშნული ცვლილებები განიხილოს.

მაკრონმა უარი განაცხადა სიმდიდრეზე გადასახადის დაწესებაზე, რასაც საპროტესტო აქციებისას მოითხოვდნენ „ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობის წარმომადგენლები.

– ჩვენ ეკონომიკურ და სოციალურ საგანგებო მდგომარეობას მტკიცე ზომებით ვუპასუხებთ, შევამცირებთ გადასახადებს, გავაკონტროლებთ ხარჯებს, – აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

მაკრონის მიერ შეთავაზებული ეკონომიკური ზომები საფრანგეთის ბიუჯეტს 8-10 მილიარდი ევრო დაუჯდება.

ამის შესახებ საფრანგეთის სახელმწიფო მდივანმა საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებში ოლივიე დიუსომ განაცხადა.

– საუბარია 8-10 მილიარდ ევროზე. ჩვენ ახლა ვაზუსტებთ ამ თანხებს, რათა გავიგოთ, თუ როგორ დავაფინანსებთ დასახულ ზომებს, – განაცხადა ოლივიე დიუსომ.

მისივე თქმით, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი დააზუსტებს პირობებსა და საჭირო ქმედებების ნუსხას.

აშშ-ში დაკავებული რუსი მარია ბუტინა მზად არის, ბრალი აღიაროს

აშშ-ში ჯაშუშობისთვის დაკავებული რუსი მარია ბუტინა მზად არის, ბრალი აღიაროს.

ბუტინას დაცვის მხარემ და ვაშინგტონის ფედერალურმა პროკურატურამ მოსამართლე ტანე ჩატკენს ერთობლივი შუამდგომლობა გაუგზავნა სასამართლოს რიგგარეშე სხდომის შესახებ, რომელზეც ბუტინა მზად არის, დანაშაული აღიაროს.

პროკურორების ვერსიით, 30 წლის ბუტინა ამერიკელ ოფიციალურ პირებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებზე აგროვებდა ინფორმაციას და კავშირებს ამყარებდა ძირითადად კონსერვატორ ამერიკელ პოლიტიკოსებთან, მათ შორის დონალდ ტრამპთან, რაშიც მას ეხმარებოდა კონტაქტები იარაღის ლობისტ გავლენიან ჯგუფთან, იარაღის ეროვნულ ასოციაციასთან.

თავად ბუტინაც იარაღის ლობისტია. მან რუსეთში დააარსა ამგვარი ლობისტური ჯგუფი, სანამ ვაშინგტონში გაემგზავრებოდა სასწავლებლად.

ბრალდების თანახმად, ვაშინგტონში ბუტინას მოქმედებებს ხელმძღვანელობდა რუსეთის ყოფილი დეპუტატი და ცენტრალური ბანკის თანამშრომელი ალექსანდრ ტორშინი, რომელსაც მიმდინარე წელს აშშ-მა სანქციები დაუწესა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან სავარაუდო კავშირების გამო.

4 აგვისტოს ვაშინგტონ პოსტმა მარია ბუტინასა და დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი მრჩევლის, ჯეი დი გორდონის 2016 წლის მიმოწერა გამოაქვეყნა. ბუტინა გორდონთან ურთიერთობით აშშ-ის მომავალ პრეზიდენტთან ყველაზე დაახლოებული რუსეთის მოქალაქე გახდა.

ბუტინამ და გორდონმა ერთმანეთი 29 სექტემბერს შვეიცარიის ელჩის რეზიდენციაში წვეულებაზე გაიცნეს. ამის შემდეგ პოლ ერიქსონმა, რომელიც ბუტინას რესპუბლიკელებთან ურთიერთობის დამყარებაში ეხმარებოდა და ქალთან ახლო ურთიერთობაში იყო, ორივეს მისწერა. ბუტინა მან წარადგინა, როგორც „განსაკუთრებული მეგობარი“, რომელიც რუსეთის ცენტრალურ ბანკში მუშაობს, ხოლო გორდონი, როგორც „ადამიანი, რომელიც ტრამპის გარდაქმნის პროცესში მთავარ როლს ასრულებს“.

მარია ბუტინა 15 ივლისს დააკავეს. მას ბრალად ედება აშშ-ში აგენტური ქსელის შემუშავება და ისეთ ორგანიზაციებში შეღწევა, რომლებიც გავლენას ახდენენ აშშ-ის პოლიტიკაზე.

22 ივლისს სერგეი ლავროვმა მაიკ პომპეოს ბუტინას გათავისუფლება მოსთხოვა.

ბრექსიტთან დაკავშირებული კენჭისყრა გადაიდო

ინგლისის პრემიერმა ტერეზა მეიმ პარლამენტარებს მიმართა და ბრექსიტთან დაკავშირებული კენჭისყრის გადადება მოითხოვა.

მეიმ ბრიუსელთან ბრექსიტთან დაკავშირებით ხელშეკრულება გააფორმა. მას უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ეს თანაბრად შეეხება როგორც ლეიბორისტებს, ასევე კონსერვატიული პარტიის ცალკეულ წარმომადგენლებსაც. პარლამენტშიც, სადაც ბრექსიტთან დაკავშირებული ხელშეკრულება უნდა განეხილათ, საკმარისი ხმები ვერ მოგროვდა.

– მსურს, ჩვენს პარლამენტარებს მივმართო: თუ განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება გსურთ, ეს საზოგადოებას კიდევ უფრო მეტად გახლეჩს; თუ ბრექსიტის შეთანხმებას ჩააგდებთ, ამით ქვეყანას განუზომელ ზიანს მიაყენებთ, – განაცხადა მეიმ.

საბოლოოდ კენჭისყრა გადაიდო. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის ჩატარდება იგი.

რუსეთმა ვენესუელას სამხედრო თვითმფრინავები გაუგზავნა

რუსეთმა ვენესუელას ტ-160 ტიპის თვითმფრინავები გაუგზავნა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ ეს მოსკოვის საპასუხო ნაბიჯია.

– აშშ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია უკრაინის შეიარაღებაზე ფულის გამოყოფა! ჩვენც ლათინურ ამერიკაში აშშ-ს ახალ „უკრაინას“ მოვუწყობთ, – ამბობს ლავროვი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ პასუხად აღნიშნა, რომ მოსკოვი თავის ქონებას უაზროდ ფლანგავს.

– იმის მაგივრად, რომ საკუთარ დამშეულ მოსახლეობას მიხედოს, რუსეთის მთავრობა ვენესუელის შეიარაღებაზე ფიქრობს, – განაცხადა პომპეომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ავსტრალიაში ნივრის ქურდებზე ძებნა გამოცხადდა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ კოკატუში ძებნაა გამოცხადებული ბოროტმოქმედებზე, რომლებმაც 15 ათასი ავსტრალიური დოლარის ღირებულების ეკოლოგიურად სუფთა ნიორი მოიპარეს.

უცნობმა პირებმა 400 კილოგრამი ნიორი ამოთხარეს იმ დროს, როდესაც მოსავლის აღებამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი.

– წინა საღამოს ფერმის პატრონს ძაღლის ყეფის ხმა მოესმა, გარეთ გამოიხედა, თუმცა საეჭვო არაფერი შეუნიშნავს, – განაცხადა პოლიციის ოფიცერმა კეროლინ ჰილმა, – მეორე დღეს ის ფერმის დასათვალიერებლად წავიდა და ნახა, რომ ღამით ვიღაცას მთელი ნიორი ამოეთხარა.

პოლიციაში ეჭვობენ, რომ ამ საქმის გახსნას საზოგადოების დახმარების გარეშე მოახერხებენ. ჰილი მოქალაქეებს სიფხიზლისკენ მოუწოდებს და სთხოვს აცნობონ, თუ ვინმესთან დიდი რაოდენობით ნიორს შენიშნავენ, თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ მცენარე შესაძლოა უკვე დაკარგული იყოს.

– მეორე ის ვარიანტია, რომ შესაძლოა, ის ისევ დათესეს, – აცხადებს პოლიციის ოფიცერი.

დედა შვილს, რომელსაც გარდაცვლილად მიიჩნევდა, 69 წლის შემდეგ შეხვდა

დნმ-ის ანალიზი დაეხმარა 69 წლის ამერიკელ ქალბატონს დედის პოვნაში, რომელსაც ის დაბადებისთანავე დააშორეს.

კონი მაულტრუპი 1949 წელს დაიბადა და თავშესაფარში იზრდებოდა, სანამ არ იშვილეს. როდესაც ის ხუთი წლის იყო, მისი დედობილი გარდაიცვალა. მამობილის ახალი მეუღლე კი მის მიმართ კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა და გოგონას მისი მხრიდან ცუდი მოპყრობის ატანა უხდებოდა. მაულტრუპი მთელი ცხოვრება ნამდვილი მშობლების პოვნაზე ოცნებობდა, მაგრამ ამის გაკეთებას ვერ ახერხებდა.

ერთი წლის წინ მას შვილმა აჩუქა ნაკრები, რომელიც ნათესავების დნმ-ის ტესტით პოვნის საშუალებას იძლევა. ქალი ერთ-ერთ შორეულ ნათესავს დაუკავშირდა, რომელიც სერვისმა მოუძებნა და თავისი დედა ახსენა.

– მე მას ვუთხარი, რომ მას ჯენევივ პიურინტონი ერქვა, – იხსენებს მაულტრუპი, – ნათესავმა კი მიპასუხა: „ოჰო, ის ხომ ჩემი დეიდაა და ის ჯერ კიდევ ცოცხალია“.

88 წლის ჯენევივ პიურინტონი მარტო ცხოვრობდა. როგორც გაირკვა, ინდიანას საავადმყოფოს თანამშრომლებმა, სადაც კონი დაიბადა, ის დაარწმუნეს, რომ მშობიარობის დროს ბავშვი დაიღუპა.

– ვინაიდან ის გათხოვილი არ იყო, მას უთხრეს, რომ მე მკვდარი ვარ, – განმარტა მაულტრუპმა, – მან არაფერი იცოდა ჩემი არსებობის შესახებ.

უკანონოდ შობილი ბავშვების დედასთან ძალდატანებით დაშორება აშშ-ში გავრცელებული პრაქტიკა იყო, სანამ 1973 წელს უზენაესმა სასამართლომ აბორტები არ დაუკანონა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დიდი 10 მომავალ წლამდე შეისვენებს

ბათუმი-აკადემია 23:15

თბილისის აკადემიას, რომელმაც გასულ ტურში ლელო-სარასენსი ბოლო წუთზე გატანილი ლელოთი 5:3 დაამარცხა, ერთი კვირის წინანდელის გამეორების შანსი ბათუმში ჰქონდა, მაგრამ მასპინძლებმა ამის უფლება არ მისცეს.

ბათუმის რაგბის სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა 2 განსხვავებული ტაიმი იხილა. ზღვისპირელები პირველ ტაიმში დომინირებდნენ და 17 უპასუხო ქულა გაიტანეს, თუმცა შესვენების შემდეგ სტუმრებმა 2 ლელოს გატანა შეძლეს და ბოლოს გამარჯვების იმედი გაუჩნდათ, მაგრამ...

ანგარიში მამუკა ნინიძემ ჯარიმით გახსნა, შემდეგ აკადემიელთა აღზრდილმა ანზორ სიჭინავამ ხაზი გაჭრა, მარჯვენა ფრთაზე დურმიშხან ჯაბნიძე გააქცია, ვინაც ზურგსუკან პასით ლამაზი ლელო ლადო მიმინოშვილს გაატანინა. ნინიძე გარდასახვიდან არ შეცდა.

28-ე წუთზე ბათუმმა 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ მეოთხე ცდაზე მოლი დააყენა და გიორგი თედორაძის ლელო ნინიძემ გარდასახა – 17:0.

მეორე ტაიმის შუაში აკადემია გიორგი გოგლიძის სინბინის შემდეგ კაცნაკლული დარჩა, თუმცა ერთ წუთში ლელო თავად გაიტანა. პაატა ზედაშიძემ ცენტრში პასი ჩაჭრა და ლელომდე 50 მეტრი ირბინა, დავით მოძღვრიშვილმა კი გარდასახა. ნინიძემ ახლოდან ჯარიმით უპასუხა, თუმცა მალევე არასწორი ბოჭვისთვის გაასინბინეს. 69-ე წუთზე აკადემიამ 5-მეტრიანი შერკინების შემდეგ მარჯვენა ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშა ბურთი და საბა ილურიძემ სტუმართა მეორე ლელო გაიტანა.

როგორც კი თამაში განახლდა, სიჭინავა ყვითელი ბარათით დაისაჯა, მერე კი მის გზას მიხეილ წიკლაურიც დაადგა. აკადემიამ 2-კაცნაკლულ მეტოქეს შეუტია, ბათუმი დაჯარიმდა და მოძღვრიშვილმა ახლოდან გაიტანა – 20:15. სტუმრებს ლელოს გატანით გამარჯვების შანსი უჩნდებოდათ, მაგრამ შეტევაში დაჯარიმდნენ, ნინიძემ ჯარიმით საბოლოო შედეგი დააფიქსირა და სტუმრებს ბონუსიც არ გაატანა.

ლელო-სარასენსი-ხარები 10:17

რუსთავის ხარებმა პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო და წლის დასკვნით მატჩში ლელო-სარასენსი დიდ დიღომში 17:10 დაამარცხა.

სტუმრებმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს. ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა, როდესაც ნიკოლოზ ბერძულმა 22-ში ხაზი გაჭრა და უპირატესობა შექმნა, ბურთი მარჯვნივ ჩათამაშდა და ზურა ქავთარაძემ ლელო გაიტანა. გარდასახვა ძელმა აისხლიტა. ლელო-სარასენსი მყისვე გააქტიურდა და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, თუმცა ხარებმა თავი დაიცვა და საბოლოოდ მერაბ კვირიკაშვილმა ახლოდან გაიტანა – 3:5.

მეორე ტაიმიც ხარების შეტევით დაიწყო. კობა ბუჯიაშვილის გასატანი ჯარიმა ძელმა აისხლიტა, თუმცა 1 წუთში შეცდომა გამოასწორა, როდესაც უჩა აღაშვილს მოკლე ფრთაზე კარგა მიჰყვა, ოფლოუდი შეირგო და ალამთან გატანილი ლელო თავადვე გარდასახა. ლელო-სარასენმა ლელოთი მალევე უპასუხა, თანმიმდევრული შეტევის შემდეგ მარჯვნივ მეტობა შეიქმნა და რევაზ ჯინჯიხაძე ვეღარავინ შეაჩერა, ხოლო მერაბ კვირიკაშვილმა გარდასახა – 10:12.

მალევე ხარებმა რაქში მოიპოვა ბურთი, ფაზები მაღალ ტემპში მიაბა, თორნიკე აქუბარდიამ ხაზი გაჭრა და სტუმართა მესამე ლელო გაიტანა. ბუჯიაშვილის გარდასახვა ისევ ძელმა აისხლიტა. დარჩენილ დროში ლელო-სარასენსმა ჯარიმები კარში არ დაარტყა, მაგრამ ლელოც ვერ გაიტანა და 10:17 მაარცხისთვის მხოლოდ ბონუსს დასჯერდა, ხოლო ხარები ლოკომოტივის ევროთასიდან დაბრუნებამდე მე-2 ადგილზე აღზევდა.

ჯიქა-ახმაზი 13:13

ქართლის დერბიში გორის ჯიქის დამრტყმელებმა მიზანი ვერ გაისწორეს, გასატანი ჯარიმები თუ გარდასახვები ვერ გაიტანეს და მარნეულის არმაზთან მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ.

შიდა ქართლელები ბურთს მეტოქეზე დიდხანს აკონტროლებდნენ და 2 ლელოც გაიტანეს, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ირაკლი სვანიძემ ანგარიში ჯარიმით გახსნა. არმაზმა მალევე რეზი ჯინჭველაშვილის ჯარიმითვე უპასუხა. გორელებმა უპირატესობა დაიბრუნეს, მაგრამ სვანიძეს ორჯერ ჰქონდათ უპირატესობის დაბრუნების შანსი, თუმცა ჯერ კარის წინ 20 მეტრიდან გაუცუდდა ჯარიმა, შემდეგ ოდნავ უფრო შორიდან.

სამაგიეროდ, არმაზმა მეტოქის შერკინებაში ჯარიმა გამოიმუშავა, დერეფნიდან მოლით შეუტია და იოანე იაშაღაშვილის ლელო ჯინჭველაშვილმა გარდასახა.

ტაიმის მიწურულს არმაზმა ილია სპანდერაშვილი სინბინით დაკარგა, ახლა მოლით ჯიქმა შეუტია და ლელოშიც შევიდა, მაგრამ დამიწება დროებით გადაიდო. 1 წუთში 5-მეტრიანი შერკინებიდან გამოვარდნილი ბურთი არსენ ტრაპაიძემ აიტაცა და ლელო გაიტანა, მაგრამ თეიმურაზ ჭიჭინაძეს გარდასახვა ძელებს შუა არ გავიდა და ტაიმი არმაზმა 10:8 მოიგო.

73-ე წუთზე ჯინჭველაშვილი კარის წინ 22 მეტრიდან არ შეცდა და სტუმრების უპირატესობა 5 ქულამდე გაზარდა.

მატჩის მიწურულს ჯიქმა 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ შეტევის მიმართულება შეცვალა, რამაც გაამართლა და მიხეილ ფსუტურმა ლელოთი წონასწორობა აღადგინა, მაგრამ კიკნაძის გარდასახვა არაზუსტი იყო და მატჩი საბოლოოდ ფრედ, 13:13 დასრულდა.

აია-ახმია 26:17

„აია არენას“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე გამართული მატჩი კარგი საყურებელი გამოდგა. თბილისის არმიამ მასპინძლებს დიდი თავსატეხი გაუჩინა, თუმცა აიამ დასკვნით წუთებში მობილიზება მოახერხა და 26:17 იმარჯვა.

აუტსაიდერი ქუთაისში მობილიზებული ჩავიდა და მაყურებელმა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, კარგი სანახაობა იხილა. ორივე გუნდმა აქცენტი მაღალ ტემპში, ხელდახელ თამაშზე გააკეთა და პირველ ტაიმში 5 ლელო გავიდა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, რომლებმაც ღია თამაშით ლელოში შალვა ზვიადაურმა შეაღწია, ხოლო ბახვა კობახიძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა. აიამ გამოწვევა მიიღო, ახლა თავად შეუტია მაღალ ტემპში, ფრთაზე მეტობა გამოიყენა და გიორგი ნუცუბიძის საპასუხო ლელო თედო აბჟანდაძემ გარდასახა – 7:7.

23-ე წუთზე არმიამ ლიდერობა დაიბრუნა, ბახვა კობახიძემ პასი ჩაჭრა და ფეხით წინ გაიგდო, მას გოდერძი ჭინჭარაული მიყვა, ფეხით ერთხელაც ითამაშა და ლელოში დაამიწა, ხოლო კობახიძემ გარდასახა. აიამ ისევ მალე უპასუხა, ფეხით თამაშის შემდეგ მეტოქე შეავიწროვა და 5-მეტრიანი შერკინება გამოიმუშავა, საიდანაც შოთა არეშიძესა და თემურ თუთბერიძეს გათამაშებული კომბინაცია ლელოთი არჩილ ღონღაძემ დაასრულა. აბჟანდაძის გარდასახვა ამჯერად არაზუსტი იყო.

31-ე წუთზე კობახიძემ ჯარიმით სტუმართა უპირატესობა 5 ქულამდე გაზარდა, რასაც აია არ შეეგუა, ხელდახელ ბურთაობით შეტევის მიმართულება რამდენჯერმე შეცვალა, მარცხენა ფრთაზე მეტობა გამოიყენა და საბა ერემეიშვილმა ანგარიში გაათანაბრა. გარდასახვა არაზუსტი იყო და ტაიმი ფრედ დასრულდა – 17:17.

55-ე წუთზე აბჟანდაძემ ჯარიმით მასპინძლები პირველად დააწინაურა. დაძაბულობამ პიკს 65-ე წუთზე მიაღწია და რეფერომ გუნდური ჩხუბის ინიციატორები, მიხეილ ბაბუნაშვილი და ლუკა გელაშვილი წითელი ბარათებით დასაჯა.

დასკვნით წუთებში ქუთაისელები ინიციატივას ფლობდნენ და მართალია ლელოს გატანა ვერ მოახერხეს, მაგრამ აბჟანდაძის ორი ჯარიმით 26:17 მოიგეს და 4 სატურნირო ქულა ჩაიწერეს, არმიას კი ბონუსიც არ შეხვდა და ახალ წელს დიდი 10-ის ბოლო საფეხურზე ხვდება.

ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები გაირკვა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართა.

საერთოდ, ახალგაზრდული ნაკრების თამაშს ყოველი შესარჩევი ეტაპის წინ იმედიანად ვუყურებთ, მაგრამ ჩვენი 21-წლამდე ნაკრები აქამდე ბრძოლაში სერიოზულად არ ჩაბმულა. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად, მით უფრო, რომ მეტოქეები სერიოზული გვყავს.

53 გუნდი 9 ქვეჯგუფში გადანაწილდა, რომელთაგანაც 8 ექვსგუნდიანი, ხოლო 1 – ხუთგუნდიანია, საქართველოს ნაკრები, რომელიც მეოთხე კალათაში იყო, მეორე, ექვსგუნდიან ჯგუფში მოხვდა.

გია ცეცაძის შეგირდების მეტოქეები კი, საფრანგეთის, სლოვაკეთის, შვეიცარიის, აზერბაიჯანისა და ლიხტენშტეინის ნაკრებები იქნებიან.

საკვალიფიკაციო ეტაპი სტარტს 2019 წლის 18 მარტს აიღებს, 2020 წლის 13 ოქტომბერს კი დასრულდება. ფლეი ოფები 9-17 ნოემბერს გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატი კი 2021 წლის ივნისში ჩატარდება და მასში 12 ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.

9 ქვეჯგუფის პირველადგილოსანი ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ მოხვდება, მათ 2 საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის პლეი-ოფში გამარჯვებული ნაკრები და ევროპის ჩემპიონატის 2 მასპინძელი სლოვენია და უნგრეთი დაემატება.

ქვეჯგუფები კი ასე გადანაწილდა:

ჯგუფი 1: იტალია, შვედეთი, ისლანდია, ირლანდია, სომხეთი, ლუქსემბურგი;

ჯგუფი 2: საფრანგეთი, სლოვაკეთი, შვეიცარია, საქართველო, აზერბაიჯანი, ლიხტენშტაინი;

ჯგუფი 3: ინგლისი, ავსტრია, თურქეთი, კოსოვო, ალბანეთი, ანდორა;

ჯგუფი 4: ხორვატია, ჩეხეთი, საბერძნეთი, შოტლანდია, ლიეტუვა, სან მარინო;

ჯგუფი 5: სერბეთი, პოლონეთი, რუსეთი, ბულგარეთი, ლატვია, ესტონეთი;

ჯგუფი 6: ესპანეთი, ისრაელი, მონტენეგრო, მაკედონია, ყაზახეთი, ფარერები;

ჯგუფი 7: პორტუგალია, ჰოლანდია, ნორვეგია, ბელარუსი, კვიპროსი, გიბრალტარი;

ჯგუფი 8: დანია, რუმინეთი, უკრაინა, ფინეთი, ჩრდ. ირლანდია, მალტა;

ჯგუფი 9: გერმანია, ბელგია, უელსი, ბოსნია, მოლდოვა.

ფეხბურთი

10 დეკემბერი

ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-უოტფორდი 2:2

საატჩინოო ცხრილი:

1.ლივერპული	16	13	3	0	34:6	42
2.სიტი	16	13	2	1	45:9	41
3.ტოტენჰემი	16	12	0	4	30:16	36
4.ჩელსი	16	10	4	2	33:13	34
5.არსენალი	16	10	4	2	35:20	34
6.მანჩესტერი	16	7	5	4	28:26	26
7.ევერტონი	16	6	6	4	23:19	24
8.ბორნმუთი	16	7	2	7	25:26	23
9.ლესტერი	16	6	4	6	21:20	22
10.ვულვზი	16	6	4	6	17:19	22
11.ვესტ ჰემი	16	6	3	7	23:25	21
12.ბრაიტონი	16	6	3	7	19:22	21
13.უოტფორდი	16	6	3	7	20:23	21
14.კარდიფი	16	4	2	10	15:30	14
15.ნიუკასლი	16	3	4	9	13:22	13
16.კრ.პალასი	16	3	3	10	13:23	12
17.ბარნლი	16	3	3	10	15:32	12
18.ჰადერსფილდი	16	2	4	10	10:27	10
19.საუთჰემპტონი	16	1	6	9	13:30	9
20.ფულემი	16	2	3	11	16:40	9

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-ხირონა 1:0

საატჩინოო ცხრილი:

1.ბარსელონა	15	9	4	2	41:19	31
2.სევილია	15	8	4	3	27:16	28
3.ატლეტიკო	15	7	7	1	21:10	28
4.რეალი	15	8	2	5	23:19	26
5.ალავესი	15	7	3	5	18:17	24
6.ლევანტე	15	6	4	5	27:25	22
7.ბეტისი	15	6	4	5	16:17	22
8.ხეტაფე	15	5	6	4	16:12	21
9.ხირონა	15	5	6	4	17:17	21
10.ესპანიოლი	15	6	3	6	17:20	21
11.სელტა	15	5	5	5	28:24	20
12.ვალიადოლიდი	15	5	5	5	13:15	20
13.სოსიედადი	15	5	4	6	18:18	19
14.ეიბარი	15	5	4	6	19:23	19
15.ვალენსია	15	3	9	3	12:12	18
16.ლეგანესი	15	4	5	6	15:19	17
17.ვილიარეალი	15	3	5	7	15:19	14
18.ბილბაო	15	2	8	5	15:23	14
19.რაიო	15	2	4	9	15:30	10
20.უესკა	15	1	4	10	12:30	7

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-ზ.პაული 1:3

იტალია. სერია ბ

სალერნიტანა-ბრეშა 1:3

ხუსეთი. პრემიერლიგა

ახმატი-არსენალი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-აპოლონი 2:1

პანიონიოსი-ლევადიაკოსი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ბაშაქშეჰირი 0:1

ქაშიმფაშა-ქაისერი 0:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

ლიბერეცი-ოპავა 1:2

ჰოლონეთი. ექსტრაჯენასი

არკა-კრაკოვია 0:3

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ორხუსი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კრიშტიანუ რონალდუ: „იუვენტუსში არავინ ფიქრობს, რომ სხვაზე უკეთესია“

5 თვე გავიდა, რაც კრიშტიანუ რონალდუ ტურინის იუვენტუსში გადავიდა და აპენინური მედიის ერთ-ერთმა წამყვანმა გამოცემამ, „ლა გაძეტა დელო სპორტმა“, განვლილი პერიოდის შეფასება სთხოვა.

– 10 ივლისი – 10 დეკემბერი. 5 თვე გავიდა, რაც იუვენტუსში ხართ. რა შეგიძლია თქვა ამ დროის შემდეგ იუვეზე, ტურინზე, იტალიაზე?

– აქ ბედნიერი ვარ. მშვენიერი ქალაქია, გულშემატკივრები – დიდებული. იუვენტუსი ბრწყინვალედ ორგანიზებული, ფანტასტიკური კლუბია, ფეხბურთელები – პროფესიონალები, რომლებიც ძალიან ბევრს შრომობენ. მთლიანობაში, ყველაფრით აღფრთოვანებული ვარ.

– არიან ფეხბურთელები, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს შენზე?

– არასწორი იქნება ვინმეს გამორჩევა. ეს საუკეთესო გუნდია, რომელშიც მითამაშია. ეს მართლა გუნდია, სადაც არავინ ფიქრობს, რომ სხვაზე უკეთესია. ყველა დამუხტულია, ყველა შრომობს და ყველას გამარჯვება სურს. თუკი დიბალა ან მანჯუკიჩი ვერ გაიტანენ, მაინც კარგ ხასიათზე არიან. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია. მადრიდშიც ყველა პროფესიონალი იყო, მაგრამ იქ შრომის კულტურა სხვა დონეზეა. რეალთან განსხვავება ბევრია. იუვენტუსი უფრო მეტად ოჯახია.

– თებერვალში შესაძლოა რეალს ჩემპიონთა ლიგაში დაუპირისპირდეთ. არჩევანის შესაძლებლობა რომ გქონდეთ, ისურვებდით შეხვედრას?

– ჩემთვის სულერთია. წარსული წარსულია. ახლა გამარჯვება იუვესთან ერთად მსურს. ამ გუნდის ღირსებას ვიცავ და სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა. თუ რეალის წინააღმდეგ ვითამაშებთ, მაქსიმალურად დავიხარჯები.

– ბევრს საუბრობენ მარსელოზე, ისკოზე, რეალის სხვა ფეხბურთელებზე, რომლებიც შეიძლება იუვეში აღმოჩნდნენ. გაგახარებდა რომელიმე მათგანის გვერდით ხილვა?

– ვნახე, რაც იწერება ხამესზე, ბეილზე, ასენსიოზე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, იუვენტუსს ახალწვეულები არ სჭირდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ამაზე აჯობებს პრეზიდენტმა ისაუბროს. მარსელო ძლიერი ფეხბურთელია, ჩვენთან კი ასეთებისთვის კარი ღიაა.

– როდის მიხვდი, რომ იუვენტუსში გადასვლა საუკეთესო ვარიანტი იყო?

– არ დავასახელებ, მაგრამ რამდენიმე ვარიანტი მქონდა. იუვენტუსი კი სტაბილური გუნდია, დიდი ისტორიით, ბოლო წლებში 2-ჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ზედიზედ 7-ჯერ მოიგო ჩემპიონატი. გამახსენდა, რას ვგრძნობდი, როდესაც ტურინელთა წინააღმდეგ ვთამაშობდი, სტადიონზე ბრწყინვალე ატმოსფერო იყო. დიდი სურათი პატარა დეტალებისგან შედგება და გადამწყვეტი როლი წვრილმანებმა შეასრულა. პრეზიდენტის დამოკიდებულება, გულშემატკივრები... ახლა 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ არ შევმცდარვარ.

– რა არის მთავარი, რითაც იუვე მანჩესტერ იუნაიტედისა და რეალისგან განსხვავდება?

– იტალიაში სხვა მენტალიტეტია. გუნდები უფრო დაცვაზე ფიქრობენ, ვიდრე – შეტევაზე. თამაშის ორგანიზაციაც სულ სხვაა. ესპანეთში ყველაფერი უფრო მშვიდადაა, აქ კი ყველა საქმეზე სერიოზულადაა მომართული.

– როგორ შეადარებ ალეგრის სხვა მწვრთნელებს?

– დიდი ხანი არაა, რაც ერთად ვმუშაობთ და რაიმეს თქმა არ მიქნება მიზაშეწონილი. ფაქტია, დიდი პრო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კრიშტიანუ რონალდუ: „იუვენტუსში არავინ ფიქრობს, რომ სხვაზე უკეთესია“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ფესიონალი, ბრწყინვალე მწვრთნელია... ერთდროულად სერიოზულიც და მხიარულიც. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება კი ისაა, რომ პირდაპირი და კონკრეტულია, არაფერს მალავს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ალეგრის ვინმეზე რაიმე ეთქვას და ჩვენ ვერ გაგვეგო, ვის გულისმხობდა. ერთხელ ერთ ფეხბურთელს უთხრა – ნუ მიდიხარ დრიბლინგზე. შენი საქმე გაქცევა და ჩაწოდებაა. ის ძალიან გულწრფელია. ზოგჯერ მგონია ხოლმე, რომ ყველაფრის პირში თქმას ვერ გაბედავს, მაგრამ ის მაინც ამბობს. შემდეგ გაგიღიმებს და მოგეხვევა. ნამდვილი პროფია.

– ვარჯიშების შემდეგ ხშირად აწყობთ გარკვეულ შეჯიბრებებს სანაძლეოზე. ალეგრი მონაწილეობს ხოლმე?

– არა, არასდროს. დიბალასთან, მანჯუკიჩითან და ხედირასთან ერთად ხშირად ვაწყობთ შეჯიბრებს და 99% შემთხვევაში მოგებული მე ვრჩები ხოლმე – ვიგებ რამდენიმე ევროს ან ბოთლ ღვინოს.

– მესისთან დაუსრულებელ ბრძოლაში გაიმარჯვე?

– ეს არ არის ბრძოლა ჩემსა და მესის შორის. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ვაღწევ წარმატებას თითოეულ კლუბში და სწორედ ესაა ჩემთვის უმთავრესი. არ მომწონს, როდესაც ვინმეს მადარებენ. ეს უსამართლოა. ყველაფერზე სტატისტიკა მეტყველებს. არ ვარ ვალდებული, ვინმეს რამე დავუმტკიცო. ჩემს ცხოვრებაში ცვლილებები მოხდა, გამოვედი კომფორტის ზონიდან, მივიღე ახალი გამოწვევა და ყველაფერი კარგად მიდის. მჯეროდა საკუთარი თავის და დავუმტკიცე ადამიანებს, რომ ჯერ კიდევ ვარ ძლიერი ფეხბურთელი.

– მესი სულ არ გენატრებათ?

– შესაძლოა, თუმცა, ალბათ, მას უფრო უნდა ვენატრებოდე. მითამაშია ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, ის კი მხოლოდ ერთ გუნდში გამოდის. ჩემთვის ცხოვრება გამოწვევაა, მომწონს, რომ ადამიანებს ვაბედნიერებ. კარგი იქნება, თუ ერთ დღეს მესიც გადმოვა იტალიაში სათამაშოდ. მაგრამ თუკი ის ბარსელონაში ბედნიერია, პატივს ვცემ მის არჩევანს. ლიონელი ფანტასტიკური ფეხბურთელი, კარგი ბიჭია. მაგრამ ის არ დამაკლდა. მე აქ ახალი ცხოვრება მაქვს და ყველაფერი ბრწყინვალედაა.

– შეგიძლია კიდევ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და თან, არაერთხელ?

– ფეხბურთი არ არის ინდივიდუალური სპორტი. საკუთარი თავის მჯერა, მაგრამ ფეხბურთი გუნდური თამაშია. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე მშვიდად უნდა იფიქრო. დიახ, ყველას გვინდა გამარჯვება, მაგრამ ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. ნახეთ იუნაიტედთან ჩვენი დაპირისპირება. ეს რომ ყოფილიყო ფინალი, გამოვვარდებოდით. ცოტა გამართლებაც არის საჭირო, რაღაცები უნდა დაემთხვეს.

– კვირის ბოლოს ტორინოსთან დერბი გაქვთ. რას ფიქრობთ მასზე?

– ტურინში ჰოფნის პერიოდში მივხვდი, რომ იუვენტინოსთვის 2 მეტოქესთან წაგება მიუღებელია – ინტერთან და ტორინოსთან. დერბი ყოველთვის მნიშვნელოვანია და ეს არის მატჩი, რომელშიც გამარჯვებაა საჭირო.

– იტალიაში შენზე ლაპარაკობენ, როგორც იდეალურ ფეხბურთელზე და არასდროს ახსენებენ ნაკლოვანებებს. გაქვს ნაკლი?

– რთული სათქმელია. ვცდილობ, მოედანზე კვლავაც ვისწავლო, ვარჯიშებზე კი უკეთესი, უფრო ძლიერი გავხდე. ცოტა ხნის წინ ზურგი მტკიოდა იმის გამო, რომ ზედმეტ წონას შევეჭიდე. იუვენტუსის მწვრთნელებმა ერთი სავარჯიშო მირჩიეს და ტკივილიც გაქრა. მგონია, რომ კარგად ვიცნობ საკუთარ სხეულს, მაგრამ რჩევამ მიშველა. იმის თქმა მსურს, რომ ყოველთვის შეიძლება სწავლა და განვითარება. იუვენტუსში სხვა ბევრი რამაც ვისწავლე, როგორც მენტალიტეტის მხრივ, ასევე ტექნიკური კუთხითაც. ამ დრომდე ვეუფლები მანჯუკიჩთან, დიბალასთან, კოსტასთან შეთანხმებულად მოქმედებას. იდეალური არავინაა. 6-7 წლის წინ ასეთი მშვიდი არ ვიყავი. რა თქმა უნდა, ნაკლოვანებები მაქვს, მაგრამ ვმუშაობ ამაზე.

– როდის მიხვდა კრიშტიანუ რონალდუ, რომ ის კრიშტიანუ რონალდუა?

– ზოგჯერ მეგობრები და ნათესავები მეუბნებიან – ხვდები, რომ კრიშტიანუ რონალდუ ხარ? შენთვის არ შეიძლება ამის, ამის და ამის გაკეთება. ხშირად მავიწყდება ჩემი სტატუსი და ეს კარგია. თუკი იმაზე იფიქრებ, რომ ყველაფერი მოიგე, გამოიმუშავე დიდი ფული, მიაღწიე წარმატებას, საკუთარ თავზე მუშაობას აღარ გააგრძელებ. მე ვამჯობინებ ვიფიქრო, თითქოს ეს ყველაფერი არც ყოფილა. ზოგჯერ უკეთესია იმის დავიწყება, რომ კრიშტიანუ ვარ.

– გულშემატკივრებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

– ვცდილობ, ზრდილობიანი ვიყო ყველას მიმართ, მაგრამ ეს ზოგჯერ ძნელია. განსაკუთრებით იტალიაში. ადამიანები მცნობენ ქუჩაში, აჩერებენ მანქანებს, მოდიან ფოტოს გადასაღებად. მე მსოფლიოში საუკეთესო ადამიანი არ ვარ, თუმცა ვცდილობ, ყველას პატივისცემით მოვეპყრო. განსაკუთრებით მათ, ვინც ბავშვებთან ერთადაა.

– კრიშტიანინიომ, ევამ, მატეომ და ალანა მარტინამ იციან, რომ მათი მამა ცნობილი ადამიანია?

– უმცროსმა კრიშტიანუმ კი... ის იუვენტუსში თამაშობს და უხარია, რომ მამამისი ვარსკვლავია. ზოგჯერ მეკითხება, შეიძლება თუ არა შინ მეგობრების მოყვანა. მე ნებას ვრთავ, ის კი ამატებს – ოღონდ შენც სახლში უნდა იყო, რადგან მათ შენთან სურთ სურათის გადაღება. ეს ჩემი, როგორც მამის ცხოვრების ნაწილია. კრიშტიანინიოს სურს, მე დამემსგავსოს, დანარჩენები კი ჯერ პატარები არიან, მაგრამ მალე ყველაფერს მიხვდებიან.

– იტალიაში ბავშვებს აინტერესებთ, რას მიირთმევს რონალდო, რომ მასავით ძლიერები იყვნენ.

– აუცილებელია ჯანსაღი კვება, არავითარი ტკბილეული. არ ვეკარები ალკოჰოლს. არის 3 ძირითადი წესი: ძილი, ჯანსაღი კვება და კარგი ვარჯიში.

– შენი ცხოვრების ყველაზე უსიამოვნო მომენტი.

– მამის გარდაცვალება 2005 წელს. ახლა ის ზეცაშია, ყველაფერს ხედავს და ბედნიერია. მაშინ რთული იყო, მაგრამ ასეთია ცხოვრება.

– დაქორწინებაზე ხმები სიმართლეა?

– ყველაფერს აგიხსნით. ყოველ კვირას დავდივარ ეკლესიაში. კათოლიკე ვარ და ყველაფრისთვის მადლობას ვწირავ უფალს. არაფერს ვითხოვ, რადგან უფლის წყალობით, ყველაფერი მაქვს. მადლობელი ვარ, რომ დაცული მყავს ოჯახი, მეგობრები. ტურინში სხვადასხვა ტაძრებში დავდივარ. ერთხელაც ეკლესიაში ჟურნალისტმა დაგვინახა და იფიქრა, რომ ჯვარი დავიწერეთ. ჯერჯერობით ეს გეგმაში არ მაქვს, მომავალში კი ვნახოთ.

– ბოლო შეკითხვა. რამდენად მნიშვნელოვანია „ოქროს ბურთი“?

– ვფიქრობ, რომ „ოქროს ბურთს“ ყოველ წელს ვიმსახურებ. ამისთვის ვმუშაობ. მაგრამ ეს არ არის სამყაროს დასასრული და პატივს ვცემ გადაწყვეტილებას. ციფრები არი იტყუებიან, ბევრი გავაკეთე იმისთვის, რომ მომეგო, მაგრამ რადგან სხვას მიაკუთვნეს, ამის გამო უბედური არ გავხდი. მყავს ფანტასტიკური მეგობრები, ოჯახი, ვთამაშობ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბში. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და გავაგრძელებ შრომას. ვულოცავ მოდრიჩს, მან დაიმსახურა. თუმცა, მომავალ წელს ყველაფერს გავაკეთებ, რათა კვლავ საუკეთესო ვიყო.

ძაღლი დამწვარ სახლთან პატრონს მთელი თვე ელოდა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ პარადიზში ძაღლი, სახელად მედისონი, დაახლოებით ერთი თვის მანძილზე ელოდებოდა პატრონის გამოჩენას მის დამწვარ სახლთან.

ანატოლიური ნაგაზის პატრონს მისი ადგილზე დატოვება ხანძრის დროს განხორციელებული ევაკუაციის დროს მოუხდა. ცეცხლი სახლს უახლოვდებოდა, მედისონი კი ვერსად იპოვეს.

– მათ იმედი ჰქონდათ და ლოცულობდნენ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და ძაღლი გადარჩებოდა, – ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა ძაღლების გადარჩენის მოხალისეთა ჯგუფმა.

მოხალისე შეილა სალივანმა ადგილობრივი მცხოვრებლებისგან გაიგო, რომ დამწვარ სახლთან ხედავდნენ ძაღლს. მან ცხოველი იპოვა და მას საკვებს აძლევდა. ეს მანამდე გრძელდებოდა, სანამ მისი პატრონი ანდრეა გეილორდი არ გამოჩნდა.

– ის გადარჩა და იცავდა იმას, რაც ხანძრისგან დარჩა და წამითაც არ დაუკარგავს თავისი პატრონების გამოჩენის იმედი. მან ყველაფერს გაუძლო, ხანძარსაც და ქარიშხალსაც. ეს ალბათ ყველაზე ხანგრძლივი თვე იყო მის ცხოვრებაში, – დაწერა კომენტარში სალივანმა. მან ათასობით მოწონება და აღფრთოვანების გამომხატველი კომენტარი მიიღო.

ქალმა ცხვირი გამოირეცხა და პარაზიტმა ტვინი შეუჭამა

ამერიკელმა ქალმა ონკანის წყლით ცხვირი გამოირეცხა, რის შედეგადაც მის ტვინში პარაზიტმა არსება ამებამ შეაღწია და გარდაიცვალა.

ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლის მცხოვრები საავადმყოფოში წლის დასაწყისში აღმოჩნდა. ექიმებმა მას თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია გაუკეთეს და ეჭვი გაუჩნდათ, რომ მას სიმსივნე ჰქონდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი ცდებოდნენ.

– როდესაც ამ პაციენტს ოპერაციას ვუკეთებდი, დავინახე, რომ მისი ტვინის გოლფის ბურთის ზომის ნაწილი სისხლიან ფაფად იყო ქცეული, – განაცხადა ნეიროქირურგმა ჩარლზ კობსმა, – ყველგან ამებები იყო, ისინი დახოხავდნენ და ტვინის უჯრედებს ჭამდნენ. ვერ გავიგე, რა ხდებოდა.

ტვინის ნივთიერების ანალიზმა აჩვენა, რომ 69 წლის პაციენტი მეტად იშვიათი სასიკვდილო დაავადებით იყო დასნებოვნებული – გრანულემატოზური ამებური ენცეფალიტით.

ექიმებმა ქალის გადარჩენა ვერ შეძლეს. ის მალე გარდაიცვალა. ექიმები დიდი ხნის მანძილზე ცდილობდნენ იმის დადგენას, თუ როგორ შეიძლებოდა პაციენტი დასნებოვნებულიყო. საბოლოოდ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქალი ცხვირის ნესტოებს ონკანის წყლით ირეცხავდა და რომელშიც ამება აღმოჩნდა. ამის შემდეგ მას ცხვირზე გამონაყარი გაუჩნდა, შემდეგ კი ამებებმა სისხლის საშუალებით თავის ტვინში შეაღწიეს.

ექიმებმა ამ შემთხვევის შემდეგ საზოგადოებას მოუწოდეს, ცხვირის ნესტოების გამოსარეცხად მხოლოდ სტერილური, დისტილირებული ან ანადუღარი წყალი გამოიყენონ. მათი მტკიცებით, მიკროორგანიზმები, რომლებიც წყალსადენებში ბინადრობენ, დაიღუპებიან საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვედრისას, მაგრამ გადარჩებიან ნესტოებში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 დეკემბრისათვის

ვერძი – იყავით გულმოწყალე, არ იძუნწოთ. დაეხმარეთ ადამიანებს და თავს გაცილებით უკეთესად იგრძნობთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტისათვის. ენერგია გემატებათ. **ტყუპები** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი ჩანაფიქრის განხორციელებაში გეხმარებათ. უკან არ დაიხიოთ. **კირჩხიბი** – საქმიან შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ მიიღებთ. დაიტვირთეთ ფიზიკურად. **ლომი** – უსიამოვნო ინფორმაცია დაგძაბავთ. ემოციები მოთოკეთ და თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ქალწული** – პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **სასწორი** – მიზანს საკმაოდ სწრაფად მიაღწევთ. არ დაივიწყოთ ახლო ნათესავები. მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ. **ღრმანაკალი** – სიამაყე და სიჯიუტე უსიამოვნებას შეგამთხვევთ. იყავით უფრო ლმობიერი და დამთმობი. **მშვილდოსანი** – დაუმთავრებელ საქმეებს ნუ დაიგროვებთ. კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და დასვენებისათვის. **თხის რქა** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **მერწყული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **თევზები** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულისნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მსხვერპლად შეწირული რამ; 14. თირკმლისზედა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ჰორმონი; 15. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 17. ტაივანის დედაქალაქი; 19. იტალიური რესტორანი; 21. ბრიტანული არაყი; 22. ტყის ხილი.

თარაზულად: 1. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 5. მუსლიმთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 17. პარაზიტი, მკბენარა მწერი; 18. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. ჩინური ნავთობკომპანია; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. ხის ზედა, განტოტებული ნაწილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მუტაცია; 2. ტაბა; 3. ტესლა; 4. სტიაუა; 6. ქრისტინე; 9. ნოქარი; 13. მაჯონგი; 14. ლებარდე; 15. პალაცო; 17. პერიე; 18. შხარა; 20. სოჭი.

თარაზულად: 1. მეტეორი; 5. ბანქო; 7. ვერმუტი; 8. ტიბაანი; 10. მერია; 11. რუმბა; 12. წიქარა; 16. სედანი; 17. პუნში; 19. ჯემი; 21. მაინცი; 22. ჩიკორი; 23. როსინი; 24. სეზარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ექოლოტი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. მძივი; 6. ოსკარი; 8. არაქსი; 11. ლომბერი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. რეზონანსი; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. ბრუკი.

თარაზულად: 1. პენელოპა; 5. მუცო; 7. კვაისა; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არამისი; 13. ბოცვერი; 16. რარიტეტი; 17. ყავა; 18. ღალია; 20. ევერტონი; 22. ბუერი; 23. კოლომბო; 24. ნადური; 25. გოგრა.

თემურ ჩხეიძე და მანანა მენაბდე პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდნენ

რეჟისორი თემურ ჩხეიძე და მომღერალი მანანა მენაბდე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

ორივე ხელოვანისთვის წლევანდელი წელი საიუბილეოა. თემურ ჩხეიძე 75 წლის გახდა, მანანა მენაბდე კი – 70-ის.

ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში გამართულ სპეციალურ მიღებაზე გიორგი მარგველაშვილმა ხელოვანებთან ერთად სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები დააჯილდოვა.

„იუმორინას“ მერიამ დაფინანსებაზე უარი უთხრა

„იუმორინა“ უკვე ათეული წლებია, მაყურებელს ახალისებს და ართობს. წლის ბოლოს შოუბიზნესცენტრი „ლომისი“ სრულიად განახლებული პროგრამით ხვდებოდა მაყურებელს. წელს თბილისის მერიამ „იუმორინას“ დაფინანსებაზე უარი უთხრა.

ინფორმაცია მამუკა ლომაშვილმა გაავრცელა:

– „იუმორინას“ ერთ-ერთ კონცერტზე 15 ავტობუსი დავითვალე რაიონიდან ჩამოსული... ეს მაშინ, სანამ ფილარმონიის არენდა 23.000 გახდებოდა...

გუშინ ჩემმა მეგობარმა, რომელიც მერიაში მუშაობს, დანანებით მითხრა, ამათ „იუმორინაც“ არ დააფინანსესო... გული დამწყდა.. მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლებას არ ვეხატებოდით გულზე და უფრო მეტიც... ასეთი რამ არ გაუკეთებიათ...

„იუმორინამ“ საქართველოს შეუნარჩუნა ძველი ტრადიციები და სალაპარაკო ჟანრის მსახიობები. მე ამ პროექტში აღარ ვარ და, იმედია, სუბიექტურად არ გაიგებთ ჩემს ნათქვამს...

ისე, დღევანდელ ხელისუფლებას მინდა შევახსენო, რომ დღეს რომ ისინი ხელისუფლებაში არიან, ჩვენი დიდი დამსახურებაც არის. სამწუხაროდ, არც „კომედი შოუს“ კონცერტები დაფინანსდა.

დემნა გვასალიამ ახალი კოლექცია მავთულხლართების ფოტოთი დააანონსა

დიზაინერმა დემნა გვასალიამ ახალი კოლექცია სოციალურ ქსელში მავთულხლართების ფოტოთი დ�ააანონსა და უკვე დიდი ინტერესიც გამოიწვია.

მის მიერ შექმნილი ბრენდის ვეტემენტსის გაზაფხული-ზაფხული 2019-ის ახალი კოლექციის ჩვენება მომავალი წლის 17 იანვარს არის დაგეგმილი.

დემნამ თავისი ორიგინალური კოლექციებით კარგა ხანია, მსოფლიო მოდის სამყარო აალაპარაკა. მისმა მაისურებმა ქართული წარწერებით, სხვადასხვა ქვეყნის დროშების გამოყენებით შექმნილმა ქურთუკებმა და სხვა ორიგინალურმა მიგნებებმა ათასობით მომხმარებელი მიიზიდა, ამიტომაც მის ახალ კოსტიუმებს ყველა დიდი ინტერესით ელოდება.

გიორგი ორბელაძემ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვა

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ ფინალს უახლოვდება და დაძაბულობა სულ უფრო მატულობს.

კონკურსში დარჩენილმა ვარსკვლავებმა მეწყვილე მოცეკვავეებთან ერთად კვლავ ორი ნომერი წარმოადგინეს – დისკო და ტრიოს ცეკვა, სადაც წყვილს წინა სეზონების ვარსკვლავები შეუერთდნენ.

ამ ტურში ყველაზე ცოტა ქულა გიორგი ორბელაძემ და რუსკა ქარქაშაძემ დააგროვეს. სწორედ ეს ორი ვარსკვლავი გახდა აუტსაიდერი, თუმცა გადამწყვეტ ერთ წუთში რუსკამ უფრო მეტი ხმა დააგროვა და პროექტს გიორგი ორბელაძე და მისი მეწყვილე ირა კვიტინსკაია გამოეთიშნენ.

ყველაზე მეტი ქულა მაყურებლისა და ჟიურისგან ამ ტურში რუსკა ქარქაშაძემ და იაკობ ყუფუნიამ დააგროვეს და 30 ქულით პირველ ადგილზე გავიდნენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ ნინო ბაშარაძეს ძმის

გიორგი ბაშარაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თამარ მეფის უნიკალური პორტრეტი საქართველოს გადმოეცა

საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მეფის – ერთადერთი მეფე-ქალის, თამარ მეფის პორტრეტი გადმოეცა.

საქართველოს არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით საქართველოს უნიკალური საგანძური დაუბრუნდა.

პარიზში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა ლია და მიხეილ ვოდეებმა საქართველოს ხელოვნების სასახლეს XIX საუკუნის დასასრულს შექმნილი თამარ მეფის უნიკალური პორტრეტი გადასცეს.

ხელოვნების ნიმუში პარიზში მცხოვრებ თამარ ბაგრატიონ-მუხრანელს ეკუთვნოდა. თამარი მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილი და დიდი ქართველი მრეწველის აკაკი ხოშტარიას შვილიშვილი იყო. უნიკალური საგანძურის სამშობლოსათვის გადაცემა მიხეილ და ლია ვოდეებმა რამდენიმე დღის წინ გადაწყვიტეს და ამისათვის სამშობლოში საგანგებოდ ჩამოვიდნენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთი წლის წინ და-ძმა ვოდეებმა საქართველოს გამოჩენილი მხატვრის სიმონიკა დადიანის უნიკალური კოლექციაც უსახსოვრეს.

თამარის პორტრეტი შესრულებულია ზეთის საღებავებით და მის მარჯვენა ქვედა კუთხეში ავტორის ხელმოწერაც ჩანს. ინიციალების წაკითხვა პორტრეტის სათანადო შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. უნიკალური ხელოვნების ნიმუში უახლოეს მომავალში ხელოვნების სასახლის მუდმივ ექსპოზიციაში დაიმკვიდრებს ადგილს.

„წითელი ტერორი და ქართველი მხატვრები“ – გამოფენა ეროვნულ მუზეუმში გაიმართება



საქართველოს ეროვნული მუზეუმი დამთვალიერებელს სთავაზობს გამოფენას „წითელი ტერორი და ქართველი მხატვრები“.

ისტორიაში სტალინური „წითელი ტერორის“ სახელით შესული მასობრივი რეპრესიები საზოგადოების ყველა ფენასა და ასაკობრივ კატეგორიას შეეხო. რეპრესიების შედეგად ქართველმა სახელოვნებო საზოგადოებამაც უდიდესი დარტყმა განიცადა. რეპრესიებს შეწირული ქართველი და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მხატვრების უმეტესობის სამხატვრო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ათწლეულებს ითვლიდა და ისინი ქვეყანაში მიმდინარე სახელოვნებო პროცესების ავანგარდში იდგნენ.

ჰენრიკ ჰრინევსკი, დიმიტრი შევარდნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, რიჰარდ ზომერი, პეტრე ოცხელი კონტრრევოლუციონერობისა თუ ჯაშუშობის ბრალდებით გაასამართლეს და დახვრიტეს 1937-1938 წლებში. წლები გაატარეს გადასახლებაში კირილ ზდანევიჩმა, ივანე პატარიძემ, ვასილ შუხაევმა. „ხალხის მტრის ოჯახის წევრის“ ბრალდებით მოიხადეს სასჯელი მოქანდაკე რაისა მიქაძემ და მხატვარმა ნინო ზაალიშვილმა, ეთნიკური ნიშნით გაასამართლეს მხატვარი მარია ჰერცფილდ-ჯაჯანიძე. ისინი კი, რომლებიც დახვრეტასა და გადასახლებას გადაურჩნენ, არსებობას განაგრძობდნენ ქვეყანაში, სადაც ყოველდღიურად ეზღუდებოდათ თავისუფლება, ხოლო შემოქმედებითი ცხოვრება მკაცრი სახელოვნებო ცენზურის მორჩილებაში უწევდათ.

გამოფენა „წითელი ტერორი და ქართველი მხატვრები“ წარმოადგენს რეპრესირებული მხატვრების შემოქმედებას და იმ ზოგად ატმოსფეროს, რომელიც 30-40-იანი წლების ქართულ სახელოვნებო რეალობაში სუფევდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება დიმიტრი შევარდნაძის, პეტრე ოცხელის, ჰენრიკ ჰრინევსკის, რიჰარდ ზომერის, კირილ ზდანევიჩის, ვასილ შუხაევის, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, უჩა ჯაფარიძის, ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვის, კორნელი სანაძისა და სხვათა ნამუშევრები.

პირველად გამოიფინება ვახტანგ კოტეტიშვილის ქანდაკებები საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მოქანდაკის ოჯახის კოლექციიდან. ნაჩვენები იქნება უნიკალური საარქივო კადრები.

ახალშობილი ბავშვი კოცნამ იმსხვერპლა

ახალგაზრდა ბრიტანელი წყვილის მტკიცებით, მათი ახალშობილი გოგონა, სახელად კიარა, კოცნის მსხვერპლი გახდა. ბავშვს ჰერპესის ვირუსი შეეყარა და ორგანიზმმა მასთან გამკლავება ვერ შეძლო.

უესტ-იორკშირის საგრაფოს მკვიდრის კელი აინენსონის თქმით, მისი ფეხმძიმობა რთულად მიმდინარეობდა. მას ექიმებმა უთხრეს, რომ მისი ნაყოფისთვის დაუნის სინდრომის განვითარების შესაძლებლობა დაახლოებით ხუთ პროცენტს შეადგენდა.

– ფეხმძიმობის შეწყვეტა შემომთავაზეს, მაგრამ ეს ვარიანტი არც კი განმიხილავს. გადავწყვიტე, თუ ბავშვი დაუნის სინდრომით დაიბადებოდა, დე ასე ყოფილიყო. ამის გამო ის ნაკლებად არ მეყვარებოდა, – განაცხადა აინენსონმა. მთელი ოჯახი მოუთმენლად ელოდა ბავშვის დაბადებას.

აინენსონმა ბავშვი საგანგებო საკეისრო კვეთით გააჩინა. ექიმები იძულებულნი გახდნენ, ახალშობილი ინკუბატორში მოეთავსებინათ, თუმცა ის მალევე მოვიდა ნორმალურ მდგომარეობაში.

მშობიარობიდან ორ დღეში აინენსონი ახალშობილთან ერთად სახლში დაბრუნდა, თუმცა რამდენიმე დღეში ისევ საავადმყოფოში აღმოჩნდნენ, ვინაიდან კიარა სწრაფად იკლებდა წონაში. ბავშვს ჰერპესის დიაგნოზი დაუსვეს, რის გამოც მას სისხლის მოწამვლა დაეწყო. ექიმების თქმით, ბავშვის დასნებოვნების ყველაზე შესაძლო ვარიანტი, რომელიმე ნათესავის მიერ ბავშვისთვის კოცნა იყო.

კიარა ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს და ექიმებმა მშობლები გააფრთხილეს, რომ თუ ის მაინც გადარჩებოდა, მისი ტვინი ძალიან იქნებოდა დაზიანებული. ორი კვირის შემდეგ ახალშობილის აპარატიდან გათიშვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ვინაიდან მისი გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჰერპესის ვირუსთან ბრძოლის ასოციაციის ხელმძღვანელმა მარიან ნიკოლსონმა საზოგადოებას მოუწოდა, თავი შეიკავონ სხვისი ახალშობილი ბავშვის კოცნისგან, ვინაიდან ჰერპესით დაავადების დიდი ალბათობა არსებობს და ის ბავშვისთვის ცხრა თვის ასაკამდე დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„მხოლოდ ქართული“ მარიშკა კერესელიძემ დატოვა

მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართული“ კიდევ ერთმა მომღერალმა დატოვა. მეორე საკონკურსო ტური წარუმატებელი მარიშკა კერესელიძისთვის აღმოჩნდა. მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, ყველაზე ნაკლები ქულები სწორედ მარიშკამ მოაგროვა.

მაყურებლისა და ჟიურის რჩეული კი გიორგი კელაპტრიშვილი გახდა, რომელმაც, ჯამში, ქულათა მაქსიმუმი – 120 ქულა დაიმსახურა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.667
- ევრო — 3.0412
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3884
- 100 რუსული რუბლი — 4.0143

ამინდის პროგნოზი 12 დეკემბრისთვის

დაკარგული „მის სამყაროს“ კანდიდატი გამოჩნდა

„მის სამყაროს“ კონკურსის მონაწილე სიერა-ლეონედან ესტერ ბანგურა ტაილანდში ჩავიდა. ამ ინფორმაციას ინსტაგრამში კონკურსის ორგანიზატორი ორგანიზაცია აქვეყნებს.

– „მის სიერრა-ლეონეს“ ყველა გულშემატკივარს სალამი. მადლობა თქვენ მხარდაჭერისთვის და მასზე ზრუნვისთვის. ყველაფერი კარგადაა, ის უკვე ტაილანდშია, თუმცა მხოლოდ როგორც გულშემატკივარი და არა კონკურსის მონაწილე, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში. სავარაუდოდ, ეს იმის გამო მოხდა, რომ გოგონამ კონკურსის მონაწილეთა რეგისტრაციაზე დააგვიანა.

შეგახსენებთ, რომ ბენგურა ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა გეშით და არა თვითმფრინავით, როგორც ეს სხვა მონაწილეებმა გააკეთეს. რამდენიმე დღის განმავლობაში კი მის შესახებ არაფერი იყო ცნობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

არიენ რობენმა სეზონის ბოლოს, შესაძლოა, კარიერა დაასრულოს



მიუნხენის ბაიერნის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა არიენ რობენმა განაცხადა, რომ ბაიერნიდან წასვლის შემდეგ მან, შესაძლოა, კარიერა დაასრულოს.

რობენი გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მიიღებს:

– ბაიერნიდან წასვლა ჩემთვის რთულია, რადგან ამ გუნდში ბევრი სეზონი გავატარე და უამრავი კარგი მოგონება მაქვს. ჯერჯერობით არ ვიცი, რას ვიზამ მომავალ სეზონში. შესაძლოა, კარიერაც დავასრულო, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

რობენი ბაიერნის ღირსებას 2009 წლიდან იცავს.

დავიდე ასტორის სიკვდილი ექიმებს დაჰბრალდათ

ფიორენტინას მცველი დავიდე ასტორი 4 მარტს გულის შეტევით გარდაიცვალა. როგორც აღმოჩნდა, ასტორის გულის პრობლემები ადრეც ჰქონდა, მაგრამ ფიორენტინას ექიმებმა ეს პრობლემა ვერ აღმოაჩინეს ან შეგნებულად დახუჭეს მასზე თვალი.

იტალიის პროკურატურამ, შესაძლოა, მათ ბრალდებაც წაუყენოს, რადგან ექიმებს შეეძლოთ, ასტორის სიკვდილი თავიდან აეცილებინათ.

ფიორენტინას ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

უსმან დემბელემ ვარჯიშზე ისევ დააგვიანა

ბარსელონის ახალგაზრდა ფორვარდმა უსმან დემბელემ დისციპლინა ისევ დაარღვია და ვარჯიშზე ორი საათით დააგვიანა. ეს ფაქტი ვალვერდემაც დაადასტურა, თუმცა თქვა, რომ კლუბი დემბელეს არ დასჯის.

ბარსელონის მწვრთნელის აზრით, მსგავსი რამ შეიძლება ნებისმიერ ფეხბურთელს დაემართოს.

– როდესაც ფეხბურთელი ვიყავი, ხანდახან მეც მაგვიანდებოდა ვარჯიშებზე, ამიტომ ეს ტრაგედია არ არის, თუმცა დემბელეს უნდა ესმოდეს, რომ დისციპლინა მნიშვნელოვანია. მომავალში მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს, – განაცხადა ვალვერდემ.

ანდრეს ინიესტა ბარსელონაში ჩავიდა

ანდრეს ინიესტა ბარსელონაში ჩავიდა და ყოფილი თანაგუნდელები მოინახულა. ინიესტას თქმით, მას ძალიან ენატრებოდა ბარსელონის ფეხბურთელები, ამიტომ ძალიან ბედნიერია, რომ ისინი მოინახულა. ინიესტამ ბარსელონაში 14 სეზონი გაატარა და გუნდი წელს, ზაფხულში დატოვა. ამჟამად ინიესტა იაპონიაში ასპარეზობს, სადაც უკვე რამდენიმე ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:
– მგონი, ვკვდები...
– აბა რა იქნება, ერთ ჯერზე თითქმის მთელი მანდარინი შეჭამე!
– „თითქმის“? რა, კიდევ არის სადმე დარჩენილი?

•••

მამა შვილს ეკითხება:
– აბა, შვილო, თუ გაქვს გადაწყვეტილი, ვინ გინდა გამოხვიდე, როდესაც გაიზრდები?
– აუზების მწმენდავი.
– სულ ეგაა?
– კიდევ მებაღე, სანტექნიკოსი და პიცის მიმტანი.
მამამ კეფა მოიქექა, ცოლს გახედა და ეუბნება:
– მგონი, ამ შობელძაღლმა, ის ვიდეოკასეტა იპოვა...

•••

თვითმფრინავში პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი ღია კართან დგას და იძახის:
– წავიდა პირველი, წავიდა მეორე, წავიდა მესამე... პარაშუტები არ დაგვავიწყდეს, პარაშუტები...

•••

ცხოველების მუზეუმში ერთი რუსი მეორეს ეუბნება:
– ამ სპირტში ჩალაგებულ ცხოველებს რომ ვუყურებ, გული მიკვდება.
– რატომ, სულ რაღაც სამი ბაყაყია მოთავსებული...
– სწორედაც, რომ ბაყაყი სამია, სპირტი კი ალბათ ათ ლიტრამდე იქნება!!!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:
– ყოველთვის იღიმები, ღიღინებ, შესანიშნავად გამოიყურები. მოკლედ, რომ გიყურებ, გულს უხარია!
– შენ ჯერ კარგ განწყობაზე არ გინახივარ!

•••

ბიჭები გოგოებს ეუბნებიან:
– გოგოებო, დღეს სტუმრად გეწვევით!
– მაშინ დასალევი თქვენზეა!
– კარგით, მისაყოლებელი და ქალები კი თქვენზე!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– გუშინ, მატჩის შემდეგ, კრიშტიანუ რონალდუ ავტოგრაფებს რომ არიგებდა, შემთხვევით ხელი თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტზე მოუწერია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფშიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფშიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

პრინცი ჰარი ძმას დაუპირისპირდა

პრინცი ჰარი თავის უფროს ძმას უილიამს ადანაშაულებს იმაში, რომ ის ცდილობს მისი ურთიერთობა თავის მეუღლე მეგან მარკლთან გააფუჭოს.

ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას ინფორმირებულმა პირმა განუცხადა, რომ ჰარი დამნაშავედ გრძნობს თავს იმაში, რომ თავის დროზე დედის, პრინცესა დიანას დაცვა ვერ შეძლო და ახლა ცდილობს თავის მეუღლეზე იზრუნოს.

– ის ვერანაირ კრიტიკას ვერ მოითმენს მეგან მარკლთან მიმართებაში. ის იმდენად მგრძნობიარეა, რომ ხშირად კრიტიკას და ნეგატივს იქაც კი ამჩნევს, სადაც ისინი არ არსებობს, – განაცხადა ინფორმატორმა.

შეგახსენებთ, რომ ადრე ბრიტანულმა ტაბლოიდებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სამეფო ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა დაიძაბა და სწორედ ჰარისა და უილიამს შორის კამათი სახელდება ჰარისა და მეგან მერკლის კენსინგტონის სასახლიდან წასვლის სურვილის მიზეზად.

კრიშტიანუ რონალდუ: „ოქროს ბურთი მე უნდა მომეგო“

კრიშტიანუ რონალდუმ ოქროს ბურთზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს პრიზი მას უნდა მოეგო, რადგან გასულ სეზონში მან ყველას აჯობა. მიუხედავად ამისა, რონალდუ მაინც ულოცავს მოდრიჩს გამარჯვებას, რადგან ლუკა წლების განმავლობაში მისი თანაგუნდელი იყო:

– მოდრიჩი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ტიტული მე უნდა მომეგო. მიუხედავად ამისა, მას მაინც ვულოცავ გამარჯვებას. ამჟამად მხოლოდ იუვენტუსი მაღელვებს და მინდა, რომ ამ გუნდთან ერთად ბევრ გამარჯვებას მივაღწიო.

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. სამაგიეროს გადახდა; 2. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 3. იტალიური ავტომობილი; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 6. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ძველებური ბასრწვერიანი ქართული სატყორცნი საბრძოლო იარაღი; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 17. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 18. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 20. აბრეშუმის ჭია.

თარაზულად: 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 5. მემკვიდრეობითი საგვარეულო ტიტული ევროპაში; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 8. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში; 10. სამეჯლისო ცეკვა; 11. უნგრული ღვინო; 12. ჩვილი ბავშვის საწოლი; 16. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი, ცეცხლგამძლე თიხა; 17. ბრიტანული არაყი; 19. თანდაყოლილი ფერადი გამონაზარდი კანზე; 21. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 22. ადენის ყურეში მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 23. ინდისხურმა; 24. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა